საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 94 (2207) პარასკევი, 17 მაისი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობის, ნდობისა და თანხმობის გზა

16 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერეს მემორანდუმს ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

მოსკოვი, 16 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ. ედუარდ ებიბერიძე და ნოდარ ბროლაძე). რუსეთის დედაქალაქში წინა სალამოს ჩამოსული საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის სამუშაო ვიზიტის პროგრამის უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე კონფლიქტების მოწესრიგებისა და მისი მთლიანობის აღდგენის აქტუალური საკითხების განხილვა. სწორედ მათ განსაზღვრეს კიდეც 16 მაისს დილით გამართული საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის შეხვედრის დღაარსი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ორი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა მეთაურები ევგენი პრიმაკოვი და ირაკლი მენაღარიშვილი, რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში დიმიტრი რიურიკოვი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძე.

საუბარი, რომელსაც კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა, მიმდინარეობდა ურთიერთგაგების ატმოსფეროში. იგი შეეხო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი, ორმხრივი ურთიერთობის ახალი ხარისხის მიღწევის, თანამეგობრობაში შემავალ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის განმტკიცების საფუძველზე თანამეგობრობის ფარგლებში ინტეგრაციული ურთიერთობის გაძლიერებისადმი კონტროლის მექანიზმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. განსაკუთრებით აღინიშნა პროგრესი, რომელიც მიღწეულია მხარეთა ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში.

შემდეგ დიალოგი გაგრძელდა გაფართოებული შემადგენლობით. ამ ეტაპზე საქართველოს მხარეს შეუერთდნენ სამხრეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ლუდვიგ ჩიბიროვი და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში დიტერ ბოდენი, რუსეთის მხარეს — ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალსარბეკ გალაზოვი და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბორის პასტუხოვი.

მხარეებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავიანთი ერთგულება ნებისმიერი სადავო საკითხისა და წინააღმდეგობის გადაწყვეტის მშვიდობიანი, პოლიტიკური მეთოდებისადმი. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს შემდგომ თანამიმდევრულ ღონისძიებებს ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი და საბოლოო მოწესრიგების მიზნით.

საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა პირისპირ.

მემორანდუმზე ხელისმოწერის ცერემონიალი მოსკოვში.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო, მიღებული მოსკოვიდან სატელეფონო ხაზით (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მემორანდუმს ხელი მოაწერეს, მზად არიან განუხრელად განახორციელონ მისი დებულებანი

ამ დღეს დიდი ხანია ელოდნენ. ელოდნენ და ახლოებდნენ კონფლიქტის მონაწილე ქართული და ოსური მხარეები, კონფლიქტისა, რომელიც დაიწყო ექვსი წლის წინათ, იმ დღიდან, როცა საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსულმა რეჟიმმა გარკვეული გარეშე ძალების წაქეზებით შეძლო შული ჩამოეგდო ოდითგანვე ერთ ოჯახად მცხოვრები ქართველებისა და ოსების ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობაში. ამ დღეს ახლოებდნენ კონფლიქტის მოწესრიგების შუამავლები — რუსეთის ფედერაციისა და მისი შემადგენელი ნაწილის ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის წარმომადგენლები, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომლის მუდმივი მისია საქართველოში მთელი ამ ხნის მანძილზე აქტიურად მუშაობდა ამ პრობლემის გადასაჭრელად.

და აი, ამ პრობლემისადმი ყველა მხარის კონსტრუქციული მიდგომის წყალობით, ეს დღე დადგა, სწორედ ასეთი მიდგომა აირჩია იმთავითვე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს და იღვწოდა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის, რამაც გადამწყვეტწილად შეუწყო ხელი იმის გაცნობიერებას, რომ აუცილებელი იყო დიალოგი, მშვიდობის, ნდობისა და თანხმობის გზების ძიება.

16 მაისს შუადღისას კრემლში ხელი მოაწერეს მემორანდუმს ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს: ქართული მხარის სახელით — საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა, სამხრეთ ოსეთის სახელით — მთავრობის თავმჯდომარემ ვლადისლავ გაბარაევმა. შემდეგ ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს შუამავლებმა — რუსეთის ფედერაციის სახელით — საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა, ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიის რესპუბლიკის სახელით — პრეზიდენტმა ალსარბეკ გალაზოვმა, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სახელით — საქართველოში ამ ორგანიზაციის მუდმივი მისიის ხელმძღვანელმა დიტერ ბოდენმა.

ამ დოკუმენტის შინაარსის გამო გამოთქმული აზრები იმ ახალ თვალსაჩინო რეალურ შესაძლებლობათა გამოხატულებაა, რომლებიც, ჯერ ისევ მიმდინარე მოლაპარაკების პროცესში ისახება. ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საღი პოლიტიკის შედეგიანი მაგალითი უწოდა მემორანდუმის ხელმოწერის ფაქტს საქართველოს დელეგაციის წევრმა ქვეყნის პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლის რეგიონში ბადრი ხატიძემ. დღეს თვალნათლივ ჩანს, თქვა მან, რომ ამ პოლიტიკას აქვს აწმყო და, რაც მთავარია, მომავალი. მემორანდუმი კეთილი ნების აქტის გამოვლინებაა და მოწმობს, რომ კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის პროცესი სწორი მიმართულებით მიმდინარეობს.

ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც მხარეებს ყველა მისი დებულების რეალიზაციას ავალებს, მოწოდებულია უმთავრესი როლი შეასრულოს საბოლოო მოწესრიგებაში. შესაბამისად ითქვა, რომ მზად არიან ზუსტად და განუხრელად შეასრულონ მემორანდუმის ყველა მოთხოვნა, მისი ფორმა და შინაარსი.

ისტორიული მოვლენა საქართველოსა და მთლიანად კავკასიისათვის

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, პირველმა რომ გააკეთა განცხადება პრესისათვის, აღნიშნა, რომ მოხდა ისტორიული მოვლენა, რომელმაც დააგვირგვინა მთელი ძალისხმევა იმ უსამართლობათა შემდეგ, ორ წელიწადნახევრის განმავლობაში რომ ხდებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. იმისათვის, რომ იქ აღარ განახლდეს ომი, თქვა მან, ბევრი რამ გააკეთეს როგორც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, ისე ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ. როგორც რუსეთის პრეზიდენტმა თქვა, ხელმოწერილი დოკუმენტი არ არის საბოლოო, მაგრამ ურთიერთნდობის მემორანდუმი ძალზე მნიშვნელოვანია. „შემდგომი მოლაპარაკების დროს ეს დოკუმენტი მთლიანად აღმოფხვრის, ასე ვთქვათ, გაუგებრობებს“, — დაასკვნა ბორის ელცინმა.

ვუერთდები ბორის ნიკოლოზის ძის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ ეს არის ისტორიული მოვლენა ორი ხალხისათვის, რომლებმაც უნდა გამონახონ შერიგებისა და ურთიერთგაგების გზა, — თქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. — ამავე დროს, — ეს არის ისტორიული ხელშეკრულება არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი კავკასიისთვის. მშვიდობის რეალურად მიღწევის გზაზე წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. საქართველოს პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ბორის ელცინის როლს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა 1992 წლის ივნისში დაგომისში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრასა და იქ ხელმოწერილ შეთანხმებას, რომელიც საფუძვლად დაედო მოლაპარაკების პროცესის დაწყებას. როგორც საქართველოს ხელმძღვანელმა თქვა, რუსეთის პრეზიდენტი თანამიმდევრულად და მტკიცედ წარმართავდა ამ პროცესის მონაწილე ყველა მხარის ძალისხმევას, რომელთა მცდელობითაც მიღწეულია ამჟამინდელი შედეგი. ედუარდ შევარდნაძემ სათანადოდ შეაფასა სამშვიდობო ძალების მოქმედება, რომლებმაც შეუწყვეს ხელი რეგიონში მშვიდობის დამყარებას, განსაკუთრებით გამოყო ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიას რესპუბლიკის პრეზიდენტის ალსარბეკ გალაზოვის ღვაწლი, რომელსაც თავისი მეგობარი უწოდა, მადლიერების სიტყვებით მოიხსენია ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საქართველოში მუდმივი მისიის ხელმძღვანელი დიტერ ბოდენი. „მსურს მივმართო ჩემს თანამოაზრეებს, ბატონ ჩიბიროვსა და სხვებს, რომლებმაც მიიღეს ისეთი რთული გადაწყვეტილება, დიდ გაბედულებასა და სიმტკიცეს რომ მოითხოვს. ასეთი განწყობილება იმის საფუძველს გვაძლევს, რომ მიაღწევთ ამ პრობლემის საბოლოო გადაჭრას“. ედუარდ შევარდნაძემ დამსწრეთ აღუთქვა, რომ შეიქმნება ყველა პირობა ქვეყანაში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის და ეს იქნება საუკეთესო მაგალითი დანარჩენი რეგიონებისთვისაც, სადაც კონფლიქტები მიმდინარეობს.

მსურს მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ მოხდა ასეთი მოვლენა, — განაცხადა სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ლუდვიგ ჩიბიროვმა.— დღეს მოხდა პირველი წინსვლა კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე. მაგრამ, როგორც მან თქვა, შეუძლებელია გადაჭარბებით შევაფასოთ მემორანდუმის მნიშვნელობა, რადგან, ჯერ კიდევ არ გამოგვინახავს ურთიერთმისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილება. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ყინული გალღვა, — გადაიდგა პირველი სერიოზული ნაბიჯი პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრის საქმეში. მადლობას გიხდით ყველას, განსაკუთრებით, რუსეთის მხარეს“, — თქვა ლუდვიგ ჩიბიროვმა.

ისტორიული უწოდა მიღწეულ შედეგს ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალსარბეკ გალაზოვმა, სსრ კავშირის დაშლის შედეგად, თქვა მან, ყველაზე მეტად კავკასია დაზარალდა. სწორედ აქ წარმოიქმნა ყველაზე ცხელი წერტილები, რომელთა განეიტრალების საქმეში შეუძლებელია განსაკუთრებით არ გავუსვა ხაზი რუსეთის სამშვიდობო მისიას, ბორის ელცინის როლს.

როგორც ალსარბეკ გალაზოვმა განაცხადა, გადაუჭრელი პრობლემა არ არსებობს. მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა საქართველოში, ქვეყანაში დაადგნენ ქართულ-ოსური კონფლიქტის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მოწესრიგების კურსს. ჩვენ, აღნიშნა მან, კარგად ვუგებთ ერთმანეთს. რუსეთი კი, ქვეყნის ამჟამინდელ და მომავალ პრეზიდენტ ბორის ელცინთან ერთად კვლავ დარჩება ყველა სადავო პრობლემის მშვიდობიანად და ეფექტიანად გადაჭრის გარანტად.

საქინფორმი.

საქმიანი შეხვედრები მოსკოვში

მოსკოვში საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში რუსეთის ფედერაციის სამინისტროებსა და უწყებებში გაიმართა ოფიციალური დელეგაციის წევრთა შეხვედრები. კერძოდ, 16 მაისს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილს საუბარი ჰქონდა რუსეთის „გაზმრეწვის“ თავმჯდომარესთან რემ ვიახირევთან და ამ უწყების სხვა ხელმძღვანელებთან. განიხილეს რუსეთიდან თურქეთში საქართველოს გავლით ბუნებრივი გაზის ტრანზიტის მიწოდების, აგრეთვე სხვა ურთიერთსაინტერესო საკითხები.

განიხილეს სამიტის დღის წესრიგი

16 მაისს, საღამოს გაიმართა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსა და თავდაცვის მინისტრების საბჭოს სხდომა. განიხილეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოების მეთაურთა სხდომის დღის წესრიგი და სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია 17 მაისს დაგეგმილ თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა შეხვედრასთან.

საქინფორმი.

პრინციპულად ვიმსჯელოთ კონკრეტულ საკითხებზე და ერთად გადავწყვიტოთ საერთო პრობლემები

როგორ გადაწყდეს ის პრობლემები, რომლებსაც ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების ურთულეს ეტაპზე აწყდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მეურნეობის თითქმის ყველა სფეროში, და რომელთა მოგვარება არა მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის, არამედ მთელი საქართველოს ერთ-ერთი ურთულესი საზრუნავია. — ამ საკითხებზე სამსჯელოდ და, შესაბამისად, გადაწყვეტილებების მისაღებად, 14 მაისს ბათუმს ეწვია საქართველოს სამთავრობო დელეგაცია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით, როგორც უკვე ვიუწყებოდით.

ამთავითვე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — ამგვარი შეხვედრა-თათბირები სწორედ ის ღონისძიებებია, რომლებსაც, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პირობებში ცენტრალურსა და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის სრულფასოვანი თანამშრომლობის თვალსაზრისით, ალტერნატივა არ გააჩნია, მით უმეტეს, რომ (და ეს ამ შეხვედრაზეც კიდევ ერთხელ თვალნათლივ დადასტურდა) არ არსებობს საკითხი, რომელიც მხოლოდ ერთი რაიონის თუ რეგიონის მასშტაბით იყოს აქტუალური, საქართველოში ყველა პრობლემა, მათი „წარმომავლობის“ მიუხედავად, საერთოა და, ამდენად, მათ მოგვარებაზეც თანაბრად პასუხისმგებელია ყველა— ცენტრშიც და ადგილზეც.

აჭარაში ამგვარი პრობლემები, დაკავშირებული ეკონომიკის განვითარებასთან, საკმაოდ დაგროვდა და სწორედ ამ მოზღვავებული გადაუწყვეტელი საკითხების ფონზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩასვლას საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონში.

პრინციპული მსჯელობა კონკრეტულ საკითხებზე და მათი გადაწყვეტის გზების მოძიება — ფორმითაც და შინაარსითაც ასეთი იყო ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც თითქმის შვიდ საათს გაგრძელდა და, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ბევრ ბუნდოვან თუ საკამათო საკითხში შეიტანა გარკვეულობა, ყოველ შემთხვევაში, ის, რომ აჭარასთან დაკავშირებით მიღებული საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სპეციალური დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა თითქმის 80 პროცენტის განუხორციელებლობა ელემენტარული უყურადღებობითა და მოუწადინებლობით არის გამოწვეული, ბოლოს მაინც ყველამ აღიარა, დასკვნაც სათანადო გაკეთდა: ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წევრებმა უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ისევე, როგორც ცენტრის წარმომადგენლები სისტემატურ კავშირში უნდა იყვნენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

უმთავრესი, რაც ამ ეტაპზე აჭარისათვის აქილევსის ქუსლად იქცა, როგორც თათბირზე ხაზგასმით ითქვა, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნისა და თბოელექტროსადგურის მშენებლობის იდეების განხორციელებაა და ის წინააღმდეგობები, რომლებსაც ამ მიმართულებით აწყდება აჭარის ხელმძღვანელობა, მისი აზრით, არ არის საკმარისად არგუმენტირებული და დამაჯერებელი, და ეს მაშინ, როდესაც თავისუფალი ეკონომიკური ზონის გარეშე საქართველოს ეკონომიკის აღმავლობა წარმოუდგენელია. იგივე აზრი გამოთქვეს ბატონმა ნიკო ლეკიშვილმაც და საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ვლადიმერ პაპავამაც, მათი განმარტებით, უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების მიერ შემუშავებულია პროექტები, რომელთა განხორციელებასაც, პრაქტიკულად, ერთი ობიექტური გარემოება უშლის ხელს — არ არსებობს კანონი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ, ხოლო დროებითი დოკუმენტის საფუძველზე იდეის ხორცშესხმა გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული: კერძოდ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებას ხელს შეუშლის ამგვარი მასშტაბური ეკონომიკური ღონისძიების განხორციელება სერიოზული ნორმატიული ბაზის გარეშე, ამდენად, საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია საქართველოს პარლამენტის ოპერატიულობაზე, რომელმაც უახლოეს ხანში უნდა განიხილოს და მიიღოს კანონი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ.

რაც შეეხება თბოელექტროსადგურის მშენებლობას, აქ პრობლემა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დამოკიდებულებაა, რომლებიც ნებისმიერი რაოდენობის კრედიტს გამოყოფდნენ, რომ არსებობდეს საქართველოში ფულის ამოღების გარანტირებული მექანიზმი, ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა აღუთქვა თათბირის მონაწილეებს, რომ ორიოდ კვირაში საბოლოოდ და გადაჭრით შეიძლება ითქვას, როგორი მომავალი იქნება თბოელექტროსადგურის თავისთავად უაღრესად სასარგებლო პროექტს, მით უმეტეს, თუ მასთან გაერთიანდება გაზსადენის საკითხიც.

სერიოზული და დაინტერესებული სჯა-ბაასი გამოიწვია ბათუმის ნავსადგურის სრულყოფილად ფუნქციონირების, ბათუმის გაზის საბადოს მოპოვების, საბორნო გადასასვლელის მშენებლობის საკითხებმა, მსჯელობა მსჯელობად, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისათვის კი, ბატონ ნიკო ლეკიშვილის წინადადებით, შეიქმნება სპეციალური კომისია ქვეყნისა და ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელიც ყოველმხრივ შეისწავლის ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს, ამასთან, სახელმწიფო მინისტრის აზრით, უპრიანი იქნება, თუ საქართველოს პრეზიდენტის ეკონომიკურ საბჭოში იმუშავებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი.

— აჭარა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ეკონომიკური პოტენციალის მქონე რეგიონია, თავისი რესურსებითა და ინფრასტრუქტურით, — განაცხადა ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა, და ამ რესურსების მაქსიმალური გამოყენების მიზნით, თათბირის მონაწილეებს თამამი და ნოვატორული პროექტების შემუშავებისაკენ მოუწოდა.

ერთი თვის განმავლობაში აჭარას ეწვევიან თათბირზე წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით სათანადოდ მომზადებული სპეციალისტთა ჯგუფები, რომლებიც კონკრეტულ პრობლემებზე იმუშავებენ. ასე შეთანხმდნენ თათბირზე და გამოთქვეს რწმენა, რომ ეს შეხვედრა ფუჭი არ აღმოჩნდება და მოიტანს შედეგს, რომელიც სასარგებლო იქნება საქართველოს მომავალი განვითარების თვალსაზრისით.

და ბოლოს, — საკითხი, რომელიც ერთნაირად მტკივნეულია ყველასათვის და რომელიც, სრულიად ობიექტურად, თათბირზე უაღრესად სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა: ვინ, ან უფრო ზუსტად, რამ აკონტროლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც, თავისუფალი პრესის ეგიდით, ხშირ შემთხვევაში, სერიოზული უხერხულობისა და გაუგებრობების მიზეზი ხდებიან. ეს ზერელედ, ხოლო, თუ უფრო სიღრმისეულად შევხედავთ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო „ინფორმაცია შესაძლოა გამოუსწორებელი პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზიც კი გახდეს, ამგვარი რეციდივები ქართულ პრესაში, სამწუხაროდ, ხდება და, საკმაოდ ხშირადაც. უფრო სამწუხარო კი ის არის, რომ პრესის საქმიანობისა და მისი პასუხისმგებლობის მარეგულირებელი არანაირი მექანიზმი საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს, კანონის ალტერნატიული გზა კი დიქტატურაა, რომელსაც დემოკრატიის მშენებლობის გზაზე დამდგარი სახელმწიფო ვერ მიმართავს, ამიტომ, იმედია, საქართველოს პარლამენტს პრესის შესახებ კანონის სასწრაფოდ მიღების აუცილებლობას ამჯერად თუნდაც პრესაში ბოლო ხანებში აჭარისა და მისი ხელმძღვანელის წინააღმდეგ ატეხილი აჟიოტაჟი შეახსენებს...

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა მემორანდუმი

საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის მხარეთა წარმომადგენლებმა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთა შუამავლობითა და ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართეს მოლაპარაკება ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე შემდგომი წინსვლის შესახებ და, სურთ რა აღმოფხვრან კონფლიქტის შედეგები და აღადგინონ მათ შორის მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის ურთიერთობა; იმის რწმენით, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს უკანასკნელი წლების მძიმე მემკვიდრეობას და დაადგინონ მშვიდობის, ნდობისა და თანხმობისაკენ მიმავალ გზას;

ადასტურებენ ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებისადმი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფუძემდებელი პრინციპებისა და გადაწყვეტილებების, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისადმი;

ხელმძღვანელობენ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპითა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლებით;

კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებისა და შერეული სამშვიდობო ძალების შეყვანის პრინციპების შეთანხმების საფუძველზე 1992 წლის ივლისში შეწყვეტილია შეიარაღებული მოქმედება კონფლიქტის ზონაში;

აცხადებენ, რომ მზად არიან, იარონ კონფლიქტის მოწესრიგების გზით მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით;

საჭიროდ მიიჩნევენ განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებსაც მოჰყვება კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგება,

დათანხმდნენ შემდეგზე:

1. კონფლიქტის მონაწილე მხარეები უარს ამბობენ ძალის გამოყენებასა თუ ძალის გამოყენების მუქარაზე, ერთმანეთის მიმართ პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ფორმის ზეგავლენის გაწევაზე.

2. მხარეები ყოველ ღონეს იხმარენ ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების, ეთნიკური ნიშნით პიროვნებების უფლებათა შელახვის თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის.

3. მხარეები განახორციელებენ ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა პრობლემის ღირსეული გადაჭრის უზრუნველყოფის რეალურ ღონისძიებებს.

4. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე პირები, რომლებსაც არ ჩაუდენიათ სამხედრო დანაშაული, აგრეთვე, დანაშაული სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, არ ექვემდებარებიან სისხლისსამართლებრივ დევნას.

მხარეები უახლოეს დროში მუშაობის საჭირო პირობებს შეუქმნიან სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნულ დანაშაულთა გამოძიებისათვის, დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემისათვის.

5. მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ დიდებითი ხასიათისაა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა რეგულარული შეხვედრების პრაქტიკა, და ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს მათ მუშაობას კონფლიქტის ზონაში კრიმინოგენული ვითარების გაჯანსაღებისათვის.

6. სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისაკენ წინსვლის კვალობაზე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა სოციალურ მორიგებათა საფუძველზე თანდათანობით დემილიტარიზებული იქნება. დემილიტარიზებულ ზონაში შეიძლება იყვნენ სამშვიდობო ძალები.

7. მხარეებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ შეიმუშაონ შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში მუდმივი დისლოკაციის ადგილებში თავმოყრილი შერეული სამშვიდობო ძალების საგუშაგოებისა და პოსტების თანდათანობით შემცირების, მათი სამსახურის ორგანიზაციის გეგმა მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

8. მხარეები აცხადებენ, რომ მზად არიან ერთად და საერთაშორისო, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელშეწყობით გამართონ ქართველი და ოსი პოლიტიკური, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა, მეცნიერთა შეხვედრები რუსეთის ფედერაციისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მოაწყონ შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენელთა „მრგვალი მაგიდები“, აგრეთვე, ჟურნალისტთა შეხვედრები ობიექტური ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

მხარეები ყოველ ღონეს იხმარენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების უსაფრთხო გადაადგილებისა და ყოფნისათვის.

9. მხარეები განაგრძობენ მოლაპარაკებას სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიზნით.

10. მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ რუსეთის ფედერაცია მზად არის იყოს გარანტი, რომ ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკა მონაწილეობდეს ამ მემორანდუმში მიღწეულ მორიგებათა განხორციელებაში, ხოლო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია — იყოს მხარე, რომელიც ხელს შეუწყობს ამას.

11. ეს მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან.

ხელმოწერილია 1996 წლის 16 მაისს, მოსკოვში.

საქართველოს სახელით
ირაკლი მენაღარიშვილი.

სამხრეთ ოსეთის სახელით
ვლადისლავ გაბარაევი.

შუამავლობით:

რუსეთის ფედერაციის სახელით
ევგენი პრიმაკოვი

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სახელით
დიტერ ბოდენი

ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის სახელით
ალსარბეკ გალაზოვი.

ენერგეტიკა

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული პროდუქცია საქართველოში უფასოა

რეზერვები გვაქვს თუ მას ჭკვიანურად გამოვიყენებთ

„სრ“ დოსიე

ემზარ ჩაჩხიანი. ამბობენ, სუპერსპეციალისტიაო. ალბათ, გარემომაც შეუწყო ხელი. მამა ლაჯანურჰესში მუშაობდა და თითქმის იქ გაიზარდა ლაილაშელი ყმაწვილი. ინსტიტუტის ელექტროსადგურების სპეციალობით დამთავრების შემდეგ ლაჯანურში დაიწყო მუშაობა. მალე დირექტორიც გახდა. შემდეგ გაერთიანდა რამდენიმე ჰესი და მათი გენერალური დირექტორი, შემდეგ საქენერგოს ცენტრალური სარემონტო საწარმოს გაერთიანების დირექტორი, საქენერგოს მთავარი ინჟინრის მოადგილე და აგერ უკვე მეშვიდე წელია ჟინვალჰესის დირექტორია. ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

ფარიალა დერეფნები, ქათქათა კედლები, ლამაზი ავეჯით გაწყობილი კაბინეტები, ყვავილებით დამშვენებული ინტერიერი... ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს უზარმაზარ საწარმოში კი არა, დასავლეთის ერთ-ერთ სამედიცინო კლინიკაში მოხვდით.

მასპინძლები — ჟინვალჰესის გენერალური დირექტორი ემზარ ჩაჩხიანი და მისი მოადგილე ალექსანდრე კობაიძე ხშირად წყვეტდნენ საუბარს, ხან ერთი გადიოდა ოთახიდან, ხან მეორე; ხან მთავარი ინჟინერი, ხან მუშა, ხან მდივანი შემოდიოდნენ ოთახში. ყველას უჩვეულო მოლოდინით უბრწყინავდა სახე. ვხვდებოდი, რაღაც ხდებოდა, მაგრამ კითხვა მერიდებოდა. მთავარი ინჟინრის მოადგილის ლეონიდე კორძაიას შემოსვლამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა;

— ჩაირთო, საათივით მუშაობს.

— ო, შენ გენაცვალე, აღტაცება ვეღარ დაფარა, გადაეხვია დირექტორი. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: დაიხსომეთ ეს თარიღი, 1996 წლის 26 აპრილი, პირველად ჟინვალჰესის ისტორიაში ოთხივე აგრეგატი მწყობრშია. თითქმის ათი წელიწადი ველოდით ამ დროს. მე რომ აქ მოვედი, მაშინ მხოლოდ ერთი აგრეგატი მუშაობდა. ბევრი ვიფიქრე, რა გამეკეთებინა, რითი მეშველა ჰესისათვის და კოლექტივისთვის, პროფესიონალი სპეციალისტებისათვის, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობდნენ, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ აღწევდნენ.

ყოფილ საბჭოთა კავშირში იჯარაზე პირველად კიევის თბოელექტროსადგური გადავიდა. სპეციალურად წავედი მივლინებაში, გავეცანი მათ საქმიანობას და ბევრი რამ ჭკუაში დამიჯდა. 1994 წლის 1 მაისიდან შევიცვალეთ სტატუსი და გავხდით საიჯარო ორგანიზაცია. ჩვენი ახლანდელი სახელწოდებაა „სპეციალიზებული ენერგეტიკული ფირმა „ჟინერი“.

კარდინალურად შეიცვალა მდგომარეობა. უწინარეს ყოვლისა, ადამიანებმა საქმისადმი დამოკიდებულება შეცვალეს. საკუთრების გრძნობამ სტიმული შემატა, გარჯასაც მოუმატეს.

— როგორც გავიგე, თქვენი წყალსაცავის საპროექტო ნიშნული 810 მეტრია, ათი წლის განმავლობაში, რაც ჟინვალჰესი არსებობს, ვერ მოხერხდა ამ ნიშნულზე წყალსაცავის შევსება, რატომ?

— მართალს ბრძანებთ, ამისთვის მარტო ჩვენი კოლექტივი კი არა, მთავრობაც დიდი ხანია იღვწის. მინისტრთა კაბინეტმა სპეციალური განკარგულებაც კი გამოსცა ამის თაობაზე. გარკვეული სამუშაოები ჯერაც დასამთავრებელია. ერთ-ერთია ანანურის ისტორიული კომპლექსისა და სოფელ ანანურის დამცავი მიწაყრილის მშენებლობა. თავიდან ეს მშენებლობა ჩვენ დავაფინანსეთ, 85 პროცენტი თითქმის შესრულებულია, მაგრამ ამჟამად შეჩერებულია, რადგან ვერ მოვახერხეთ მოსახლეობისათვის დამატებითი კომპენსაციის გაცემა. თუ „საქენერგო“ და თბილისის მერია გადაგვიხდიან ვალს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

— ყველა გზა მაინც სახსრებს ებჯინება, გადაუხდელი ვალის გამო საშვილიშვილო და სწრაფად მოსაგვარებელი საქმე ფერხდება, რა გამოსავალს ხედავთ?

— დღეს ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი გაჭირვება ის არის, რომ „საქენერგო“ ვერ გვაძლევს მიწოდებულ ელექტროენერგიის ღირებულებას. შარშან თბილისის მერიასთან გავაფორმეთ ხელშეკრულება არაგვის ხეობის წყალსადენებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების თაობაზე. მოგეხსენებათ, თბილისს წყალი აქედან მიეწოდება; ნატახტარში დაახლოებით 12 მილიონ კილოვატსაათს ხარჯავენ თვეში. მერიამ ნახევარი გადაგვიხადა, ნახევარი კვლავ გადასახდელი აქვს, გვპირდებიან, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. მეოთხე თვეა ხელფასი არ გაგვიცია.

მდინარე ანანურზე ხიდის მშენებლობაც დაწყებულია, ანანურის ძველი სკოლის რესტავრაციაც, ჟინვალჰესიდან ანანურამდე 10 კვ-იანი გადამცემი ხაზის მშენებლობაც, მხოლოდ შევძელით ტელევიზიის მე-2 არხის პროგრამის გაშვება, მაგრამ ყველა სამუშაო შეჩერებულია, არადა, რაოდენ გულსატკენია, ძირითადი საქმე გაკეთებულია, 350 000 ლარის სამუშაოებიღა დარჩა, მათი დამთავრება საშუალებას მოგვცემს მომავალი ზამთრისათვის დამატებით 120 მილიონი შესაბამისი ეკვივალენტური ელექტროენერგია გამოვიმუშაოთ ზამთრისათვის.

— ჟინვალის საპროექტო სიმძლავრე 130 მეგავატია, დღეისათვის კი მხოლოდ 65 მეგავატი სიმძლავრით მუშაობს. რატომ?

— ეს გამოწვეულია იმით, რომ მშენებლობის პერიოდში გამყვანი გვირაბი დაზიანდა. ის გვირაბი, რომელშიც აგრეგატში ნამუშევარი წყალი გადის. ამის გამო შემცირდა გვირაბის კვეთი და შემცირდა სადგურის სიმძლავრეც შესაბამისად.

ბატონ რაფსანჯანის ვიზიტის დროს, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ირანის პრეზიდენტს თხოვა საქართველოს ენერგეტიკისათვის რაიმე დახმარება აღმოეჩინათ. ირანმა ჟინვალჰესი ამოირჩია. დავდეთ ხელშეკრულება ირანის ისლამური რესპუბლიკის ენერგეტიკის სამინისტროსთან 1986 წლის 8 მარტს კონტრაქტიც გაფორმდა, რომელიც დამატებითი გვირაბის მშენებლობას ითვალისწინებს. ეს კი საშუალებას მოგვცემს სადგურის სიმძლავრე 65 მეგავატიდან 130 მეგავატამდე გავზარდოთ. მაგრამ აქაც კვლავ ერთი პრობლემა დგას.

კონტრაქტის ხელისმოწერის დღიდან ირანის მხარეს 5 თვის განმავლობაში უნდა მივაწოდოთ გვირაბის პროექტი, რომელსაც ინსტიტუტი „ჰიდროპროექტი“ აკეთებს, მაგრამ აქაც კვლავ უფულობის გამო შეფერხებაა, 500 000 ლარია გადასახდელი და არა გვაქვს.. ყველა ინსტანციაში ვიყავით, დაგვრჩა მხოლოდ ბატონი პრეზიდენტი. ჩვენს სათავო ბანკში სესხის გაფორმება გვინდოდა. 500 000 ლარი სესხი რომ აგვეღო, ეს საშვილიშვილო საქმე დასრულდებოდა, მაგრამ არც იქ გაგვიმართეს ხელი.

— დღეს ყველა უკმაყოფილოა, ვერ არეგულირებენ ელექტროენერგიის მიწოდებას, ვერ იცავენ გრაფიკებს, ხშირად სახლებში დადიან და ხელზე კრეფენ გადასახადს.

— ფულს ხელზე არ უნდა იღებდნენ. აქ სპეციალური მექანიზმია დასამუშავებელი, სინანულით აღვნიშნავ, რომ რეგიონებში ენერგოკომპანიების შექმნამ ენერგეტიკის ჯერჯერობით დადებითი შედეგები არ მისცა: ფულის ამოღების პირველი წყარო ენერგოკომპანიებშია, მათ ყველაფერი აქვთ, ხელფასებიც, ანგარიშზე ფულიც, მანქანებიც შეიძინეს. ჩვენ ვაწარმოებთ და ფული არა გვაქვს, გადამყიდველს კი აქვს, წესით, პირიქით უნდა იყოს. უხეშად რომ ვთქვათ, გადამყიდველი კეთდება, მწარმოებელი კოტრდება.

თუ ყველა მობილიზებული ვიქნებით, თუ გადავიხდით, ეს საქმეს ძალიან წაადგება. მე პირადად ვიცი რამდენიმე დიდი ორგანიზაცია, რომელსაც ბევრი ფული აქვს ანგარიშზე, მაგრამ ელექტროენერგიის ვალს არ იხდის. ფულის სხვაგან დაბანდებას ამჯობინებენ და უარეს კრიზისულ ზამთარს უმზადებენ ქვეყანას. მკაცრად უნდა დავაწესოთ, **რომელი საწარმოც არ გადაიხდის საფასურს, ელექტროენერგია არ უნდა მიიღოს. თორემ რა გამოდის, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული პროდუქტი საქართველოში დღეს უფასოა.**

გამოსავალი ერთადერთია, ელექტროენერგიის ყველა მიმწოდებელი უნდა ეცადოს უმკაცრესად იცავდეს გრაფიკს.

ჩვენ ამ დეფიციტის პირობებში ექსპერიმენტისათვის დიდი დიღმის დასახლებას ავიღებთ. ვაპირებთ მკაცრად დავიცვათ გრაფიკი, სამაგიეროდ ასევე **მოვითხოვთ მოსახლეობისაგან**, ელექტროენერგიის ღირებულების გადახდას. ეს ერთ-ერთი სარეზერვო გზაა, რომელიც ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას გამოასწორებს. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის კორპორაციის პრეზიდენტი ბატონი დავით ზუბიტაშვილი დადებითად გამოგვეხმაურა, ახლა ჯერი თბილისის მერიაზეა, თუ ხელშეკრულება გაფორმდება, ჩვენ მზადა ვართ დღესვე დავიწყოთ ეს ექსპერიმენტი.

— თქვენ რომ საქენერგოს ხელმძღვანელი იყოთ, რით დაიწყებდით?

— თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ელექტროენერგეტიკის მართვის სფეროში ინიციატორი „საქენერგოს“ დღევანდელი ხელმძღვანელობა გახლავთ, რომელთაც კარგად ესმით არსებული ყველა პრობლემა და ეს მდგომარეობის გამოსწორების იმედს გვაძლევს.

პირველ რიგში წარმოებას მივხედავდი, დავიცავდი გრაფიკს და მოსახლეობას მივცემდი გადახდის საშუალებას. ყველა ჰიდროელექტროსადგურს და მთლიანად ენერგეტიკას დამოუკიდებლობას მივანიჭებდი, ეს კოლექტივებს უთუოდ დაინტერესებდათ, საქმეც აეწყობოდა, თვით საქენერგოში რეზერვები ბევრია და შედეგიც არ დააყოვნებს. მაგალითად, თბილსრესში (შეიძლება ამას არ უნდა გეუბნებოდეთ) გამომუშავებულ ერთ კილოვატსაათზე პირობითი სათბობის ხვედრითი ხარჯი ძალიან დიდია, მისი საპროექტომდე დაყვანა მილიონობით ლარს დაუზოგავს ქვეყანას.

ისე, ჩემი ნება რომ იყოს, დროებით მაინც მივცემდი ელექტროენერგეტიკას სუბსიდირებას და გავათავისუფლებდი ყველა სახის გადასახადისაგან.

— ცნობილია, რომ დღეს საქენერგოს ენერგოკომპლექსის რესტრუქტურიზაცია მიმდინარეობს.

— რესტრუქტურიზაცია ერთადერთი გზაა, რომელიც კრიზისიდან გამოგვიყვანს, მაგრამ აქაც ყოველ კონკრეტულ ობიექტს შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ.

იცით, რა დასკვნამდე მივედი ანალიზის შედეგად? იქ, სადაც ადრე მოხდა პრივატიზაცია, გაიყიდა მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები და სადაც დასაქმებულმა პერსონალმა ვერ შეისყიდა სადგური და სხვა ახალი პატრონები გაჩნდნენ, ვერც ერთი მათგანი გამართულად ვერ მუშაობს, უმრავლესობა დღესაც გაჩერებულია. არაპროფესიონალების ხელში მოხვდა და შედეგი სახეზეა.

ამიტომ რესტრუქტურიზაციის დროს ჩვენი მოსაზრება უნდა გაითვალისწინონ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია მოხდეს სადგურების, ქსელების, გამანაწილებელი ობიექტების რესტრუქტურიზაცია იჯარა-გამოსყიდვის უფლებით, ნაწილობრივ გაიყიდოს აქციები ვაუჩერებით, ეს დიდ შედეგს მოგვცემს შემდგომში.

საზღვარგარეთელმა ექსპერტებმა, რომლებიც საქენერგოში მუშაობენ, მოიწონეს ეს წინადადება.

ახლაც გამოვნახეთ რეზერვი, რომ ვიანგარიშეთ, წყალს, რომელსაც უქმად ვღვრიდით წლების მანძილზე, თურმე 20 მილიონი კილოვატსაათის გამომუშავება შესძლებია. ეს ის წყალია, რომელსაც ჟინვალის კაშხალიდან არაგვის ხეობის სანიტარიული ნორმებისთვის ვატარებდით. საქართველოს მცირე ენერგეტიკის ასოციაციასთან ერთად უკვე დავაპროექტეთ და მიმდინარეობს მცირე ჰესის მშენებლობა, რომლის წლიური გამომუშავება 20 მილიონი კილოვატსაათი იქნება. ჰესს ალბათ მალე გავუშვებთ ექსპლოატაციაში. ის ჟინვალს და მის მიმდებარე რამდენიმე სოფელს სრულად უზრუნველყოფს ელექტროენერგიით.

— თქვენთან პირველ რიგში, რაც უცხოსათვის თვალშისაცემია, ეს ადამიანებს შორის დამოკიდებულებაა. მათ ურთიერთობაში სიყვარული და პატივისცემა გამოსჭვივის.

— სხვანაირად როგორ შეიძლება? ჩვენ ხომ ერთი ოჯახის წევრები ვართ. ჩვენთან ისეთი სპეციალისტები შრომობენ, რომ ბევრი საწარმო ინატრებდა. თემურ გუგუშვილი მისი მსგავსი ბალანსირების უმაღლესი სპეციალისტი საქართველოში არა გვყავს, ძალიან გამოცდილი მთავარი ინჟინერი დავით არაბული, კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბდნენ ახალგაზრდა ზურაბ მაისაშვილი და თამაზ შავდათუაშვილი, გურამ ბერაძე, თენგიზ ხვადაგიანი, შოთა დათიკაშვილი, მთავარი ინჟინრის მოადგილე ლეონიდ კორძაია, გამოცდილი გივი მჭითური, გოგი არაბული, თედო შავერდაშვილი... ტარიელ ბექოშვილი (და იმდენი გვარები დამისახელა ბატონმა ემზარმა, ერთი გაზეთი არ ეყოფოდა მათ ჩამოთვლას).

მე მსიამოვნებს მათთან ურთიერთობა, მათ იციან, რომ ყველამ ჩვენ-ჩვენი აგურები ლამაზად უნდა დავაწყოთ და შენობაც მყარი და ლამაზი აშენდება.

ყველასგან გამორჩეული ურთიერთობა კი დირექტორს მაინც თავის მოადგილესთან ბატონ ალექსანდრე კობაიძესთან აქვს. ისინი თითქოს ავსებენ ერთმანეთს. სწორედ ეს ეტყობა მათ საქმიანობას და პირველ რიგში კოლექტივს.

— ჩვენ რომ ჩვენი რეზერვები აგვემოქმედებინა, ამის სულისჩამდგმელი დუშეთის გამგებელი კობა ბუჩუკური იყო. ეს ახალგაზრდა კაცი მუდამ მზად არის მხარში ამოსადგომად და სასიკეთო საქმის საკეთებლად. ასევე დახმარებისათვის მადლობა მინდა გადავუხადო გუბერნატორს შალვა ობგაიძეს, რუსთავისა და თბილისის მერიებს, თბილისის მერიის საფინანსო სამმართველოს ხელმძღვანელებს ბატონ ამირან ჯებისაშვილს და ქალბატონ ლია გუგუშვილს. კვლავ მათი თანადგომის იმედი გვაქვს.

ის-ის იყო საუბარს ვამთავრებდით, კობა ბუჩუკურმა შემოაღო კარი — ვიცოდი, ჟინვალში ღირსშესანიშნავი დღე იყო და ისე ვერ მოვისვენებდი, აქაურობისათვის არ დამეზედაო, — გაგვიმხილა.

ახლა ქვევით ჩავიდეთო, — შემომთავაზეს მასპინძლებმა.

— სად მივდივართ-მეთქი რომ ვკითხე, — მიწაშიო — ღიმილით მიპასუხა კობამ და ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა.

70 მეტრი მიწისქვეშ ჩავედით.

— შეიძლება ჰქონდეთ სითბო, სიმყუდროვე, მაძღრებიც იყვნენ, მხიარულებიც, მაგრამ სრული ბედნიერება არ ექნებათ, თუ ამ ყველაფერს მოვალეობის მოხდის გრძნობაც არ ახლავს. ეს ერთი მიზეზი, — მეუბნება კობა, — მაგრამ არის მეორე მიზეზი, ჩემი აზრით, უფრო არსებითი, ჟინვალელებს უბრალოდ უყვართ თავიანთი მხარე და საქმე, რომელსაც აკეთებენ, მათ მოსწონთ პასუხისმგებლობით სავსე ცხოვრება.

— **მანამ** ძალა შეგვწევს და რაიმე შეგვიძლია, შენს ხალხს უნდა ემსახურო, — ასე ფიქრობენ ეს ადამიანები, რომლებსაც ერთხელ რომ შეხვდეთ და გაესაუბროთ, უთუოდ რაღაც სიკეთის, სითბოსა და სიმყუდროვის შეგრძნებას დაგიტოვებენ. როდესაც გაკეთებულ საქმეებზე, თუ სამომავლო გეგმებზე გიყვებიან, გჯერათ, რომ გულწრფელნი არიან. უთუოდ გადაგედებათ ის ენთუზიაზმი და შემართება, მაშინვე გაითავისებთ მათ სატკივარს და სიხარულს, ასე გგონიათ, დღეს პირველად კი არ ნახეთ ისინი, არამედ მთელი ცხოვრება იცნობდით. ისეთები, როგორიც კობა ბუჩუკური, ემზარ ჩაჩხიანი და ალექსანდრე კობაიძეა, სამწუხაროდ, ბევრნი არ არიან... მაგრამ რამდენიც არიან, ერთმანეთს ჰგავანან, ამ ხალხს პატიოსნების ბეჭედი აზის და ყველაფერს აკეთებენ ქვეყნის სასიკეთოდ.

როდესაც ვუყურებდი, როგორ უსმენდა აგრეგატის გულისძგერას ბატონი ემზარი, მერე კობამაც იგივე გაიმეორა, თითქოს პულსს უსინჯავსო ადამიანს და რა გაბადრული სახეები ჰქონდათ, როგორ სათუთად აანთეს თაფლის წმინდა სანთელი უზარმაზარ აგრეგატზე, მაშინ მეც რაღაც კმაყოფილების გრძნობა დამეუფლა. შვებით ამოვისუნთქე, რამდენი ხანია, გამარჯვებული, შრომით გაბრწყინებული სახეები აღარ მენახა. აი, ჩვენი ხსნის ერთადერთი გზა.

უკვე აღარ მეუცხოვებოდა ბატონ ემზარის მეუღლის, საქენერგოს წამყვანი ინჟინრის ქალბატონ მანანას ნათქვამი სიტყვები, მე ემზარის მეხუთე ცოლი ვარო (დანარჩენებში ეს ოთხი გენერატორი იგულისხმებოდა).

ქვესკნელიდან ამოსულებს გარეთ გაზაფხულის თბილი საღამო შემოგვეგება. წამოსვლას არ ვჩქარობდით, კიდევ იმდენი სათქმელი ჰქონდათ მასპინძლებს, როგორ მოემზადნენ წყალდიდობისათვის, როგორ აშენებენ ახალ ჰესს... მათთან განშორება მეც მეძნელებოდა, ისეთი შთაბეჭდილება მქონდა მყუდრო, ბედნიერ ოჯახში მოვხვდი.

მოწმენდილი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის მადლი მოჰფენოდა ჟინვალს.

მარადი ანასაშვილი.

ჟინვალჰესი.



დეკორატორი სჭირდება ყველა ცივილიზებულ ქალაქს

აქტუალური ინტერვიუ

თბილისის მერიის მშენებლობისა და კეთილმოწყობის დეპარტამენტში ახლადშემოღებულ თბილისის მთავარი დეკორატორის თანამდებობაზე დანიშნულია ბატონი შალვა ისაკაძე. მას დაევალა გამწვანების სამუშაოთა კოორდინაცია თბილისის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, დეკორატორს დაექვემდებარა თბილისის გამწვანების მეურნეობის გაერთიანება და დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების საშუალებანი.

ჩვენთან დეკორატორის სპეციალობა, განსაკუთრებით გამწვანების დარგში, იშვიათ პროფესიათა რიგს განეკუთვნება. საინტერესოა, რა ფუნქცია ეკისრება ქალაქის მთავარ დეკორატორს, რა პრობლემები აქვს გადასაჭრელი?

დღევანდელი ჩვენი რესპოდენტი მონაწილეა უამრავი გამოფენისა, გაფორმებული აქვს მრავალი შენობა თუ ბაღი, სკვერი, როგორც ჩვენთან, თუ მის ფარგლებს გარეთ, გახლავთ 50-მდე სამეცნიერო წიგნის, წერილის, სტატიის ავტორი, არის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. მაშ ასე, ვესაუბრებით თბილისის მთავარ დეკორატორს ბატონ შალვა ისაკაძეს.

— ბატონო შალვა, თუ შეიძლება ცოტა რამ გვიამბეთ, საერთოდ რას ნიშნავს დეკორატორი, ჩვენთვის ასეთი თანამდებობა ფუფუნება ხომ არ არის?

— დეკორატორს უნდა ჰქონდეს ბუნების კანონზომიერებათა [illegible] აღქმის უნარი, სახვითი აზროვნება, მხედველობითი მეხსიერება, არქიტექტორის გონება, ინჟინერ-მშენებლის პრაქტიკული გამოცდილება; კარგად უნდა იცოდეს ბოტანიკის საფუძვლები, მეცენარეობა, დენდროლოგია, მეტყეობა, მეყვავილეობა, ნიადაგმცოდნეობა, მცენარეთა დაცვა; უნდა ერკვეოდეს გეოლოგიასა და გეოდეზიაში, მელიორაციასა და ჰიდროლოგიაში, წყალმომარაგება-მორწყვაში, მიწის სამუშაოებში. დეკორატორი სჭირდება (და ჰყავს კიდეც), ყველა ცივილიზებულ ქალაქს: ვენას, პარიზს, ტოკიოს და ა. შ. მას ქალაქის იერსახეზე ზრუნვა ევალება, ამიტომ მით უფრო საჭიროა დეკორატორის სპეციალობა ჩვენთან, რადგანაც საქართველო აზიიდან ევროპაში მიმავალი დერეფანია და მალე, უდავოა, ტურისტული ცენტრიც გავხდებით.

ყოველივე ამის გამო აუცილებელია ქალაქის, კერძოდ ცენტრის და მაგისტრალური ქუჩების იერის შეცვლა, ბაღ-პარკების, სკვერების მდგომარეობის გაუმჯობესება. ამავე დროს, მიუხედავად ჩატარებული სამუშაოების ხასიათისა, დაცული უნდა იყოს ქართული ეროვნული კოლორიტი. ბარათაშვილიდან — გრიშაშვილამდე. ყოველივე ამის მისაღწევად საჭიროა მატერიალური სახსრები, სპეციალისტები, შესაბამისი ტექნიკა, რაც ჩვენთან თითქმის გაჩანაგებულია. იმ ავადმოსაგონარ წლებში გაიტაცეს გამწვანების ტრესტის მანქანა-დანადგარები, ყურადღების გარეშე დარჩენილი სპეციალისტები კი მიმოიფანტნენ, ბევრმა საერთოდ შეიცვალა პროფილი. ალბათ, არ იქნება ურიგო, თუ უმაღლესი სასწავლებლები ყურადღებას გაამახვილებენ ამ პერსპექტიულ სპეციალობაზე...

— რა თქმა უნდა, ქალაქის მთავარ დეკორატორს ჩამოყალიბებული ექნება გეგმა იმ სამუშაოებისა, რომლებიც პირველ რიგში უნდა ჩატარდეს.

— სახელმწიფო მინისტრთან ბატონ ნიკო ლეკიშვილთან და მერიის ხელმძღვანელობასთან ერთად შევადგინეთ როგორც პირველი რიგის შესასრულებელ სამუშაოთა, აგრეთვე პერსპექტიული გეგმა. ვფიქრობთ, მთაწმინდის გამგეობასთან ერთად, რუსთაველის გამზირის მწვანე ნარგავების წესრიგში მოყვანას. აქ იგულისხმება ნარგავების გადაბელვა, გაზონების აღდგენა, სათანადო ყვავილნარების გაშენება, ყინვა და გვალვაგამძლე ხე-ბუჩქების, დეკორატიული მცენარეების დარგვა, შენობების ვერტიკალური გამწვანება და ა. შ. თბილისელებს ალბათ დააინტერესებთ ის ფაქტი, რომ მსგავსი სამუშაოები განხორციელდება მუშთაიდის პარკსა და ფუნიკულიორზე.

— რუსთაველის პროსპექტი, დამერწმუნებით, დედაქალაქის სავიზიტო ბარათია, ამიტომ საინტერესოა, კონკრეტულად რა სამუშაოებს ჩაატარებთ ჩვენს მთავარ ქუჩაზე?

— რუსთაველის გამზირი — ჩვენი დედაქალაქის ცენტრალური არტერია, ჩვენი სიამაყე და მშვენებაა. თუმცა ეს უფრო წარსულ წლებს მიესადაგება, ამჟამად კი ცნობილი კატაკლიზმების შემდეგ რუსთაველის გამზირი მოითხოვს არა მარტო ძველ იერის დაბრუნება-აღდგენას, არამედ გარკვეულ გადახალისებასაც. თუნდაც ისეთ დარგში, როგორიც არის მწვანე მშენებლობა და საბაღო-საპარკო ხელოვნება. სწორედ ამ კუთხით, მთაწმინდის გამგეობისა და მერიის ხელმძღვანელობის უშუალო დახმარებით, შევძელით რუსთაველის გამზირის მონაკვეთების ახალი საბაღო ფორმებით, ხე-ბუჩქებით, ყვავილებით ლანდშაფტური გაფორმება. თბილისის გამწვანებაში პირველად გამოჩნდა უცხო ჯიშის ხე-ბუჩქები, ახალი საბაღო ფორმები და ვარიაციები. ოქროსფერი ტუია და ფიჭვი სფერული და კონუსური ფორმებით, უთხოვარის და ჩვეულებრივი თხილის სპირალური ფორმა, მეწამული ჩიტავაშლა, ქვამეხა ჯუჯა ფიჭვი, გართხმული ღვია, ვერცხლისფერი როზმარინი, მშვენიერი ჯანჯყატი. ყოველივე ეს მიღებულია იტალიისა და საბერძნეთის სანერგე მეურნეობებიდან.

— როგორც ცნობილია, თბილისის მერიამ ბრძოლა გამოუცხადა ხელზე ვაჭრობას, თბილისი ერთ დიდ ბაზრად რომ აქცია. გამყიდველთაგან განთავისუფლებული ტერიტორიები ჯერაც სავალალო მდგომარეობაშია. ალბათ აქაც თქვენი სამსახურის ძალისხმევა იქნება საჭირო...

— იმ ადგილებში, სადაც გახურებული ვაჭრობა მიდიოდა, წარმოებს მიწის ზედაპირის მოსწორება, მცენარეების ჩარგვა, ხეივნების აღდგენა, გზა-ბილიკების წესრიგში მოყვანა.

— დილმის ხიდიდან მშვიდობის გამზირამდე თვალში გეცემათ ჯიხურების მთელი „ტყე“. მათთვისაც მოიცლით?

— ქალაქის მერიას გადაწყვეტილი აქვს ჩვენთან ერთად გაიტანოს რიგი ჯიხურებისა სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, რომელიც თითქმის ყველა რაიონს აქვს.

— ბოლო დროს ფართოდ გავრცელდა უნებართვო და უსისტემო მიშენება-მოშენების, გარაჟების, სხვა ნაგებობათა მოწყობის პრაქტიკა. ამის გამო ნადგურდება ეზოს თუ შიდაკვარტალური გამწვანება. როგორ ფიქრობთ, რა უფრო სწორია, ღონისძიებების გატარება ამ ნაგებობათა დასანგრევად, თუ მათი დაკანონება და გადასახადების სახით თანხის ამოღება?

— ალბათ ჩვენ თვალი უნდა მივადევნოთ ამ გარაჟების სისტემაში მოყვანას, გადაადგილებას. მაგრამ ამავე დროს საჭიროა ავტოფარეხების კეთილმოწყობაზე ზრუნვაც. მიზანშეწონილად მიმაჩნია ასეთ ადგილებში ვერტიკალური გამწვანების დანერგვაც.

— ბენზინგასამართ სადგურებზე რაღას იტყვით, მგონი აქაც არ არის ყველაფერი წესრიგში...

— გეთანხმებით, თუ მწვანე მშენებლობაში არსებული ნორმებით სკვერები ერთმანეთისგან 0,3-0,5 კილომეტრით უნდა იყოს დაშორებული, ბენზინგასამართ სადგურებზე უკვე ლაპარაკიც ზედმეტია. ისინი, როგორც წესი, საცხოვრებელი ადგილებიდან, ბაღ-პარკებიდან მოშორებით უნდა მდებარეობდნენ. ამჟამად აღრიცხულია 150-მდე ნორმიდან გადახვევის ფაქტი.

მერიის საგანგებო კომისია მუშაობს ამ საკითხზე.

— წარმატებას გისურვებთ ამ მართლაც საშვილიშვილო საქმეში.

ესაუბრა
ლელა მჭედლიძე.

გამოსათხოვარი

მიხეილ (მიხაკო) ორაგველიძე

გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, სოფელ შრომის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე მიხეილ ფილიპეს ძე ორაგველიძე.

მიხეილ ორაგველიძე დაიბადა 1907 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ შუხუთში. 1925 წელს ქ. თბილისში დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. 1925-1930 წლებში მუშაობდა მასწავლებლად ოზურგეთის რაიონში და აჭარაში, ხოლო 1931 წლიდან 1935 წლამდე ოზურგეთისა და ლანჩხუთის რაიონების მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორად.

1936-1938 წლებში იყო გორის რაიონის სოფელ კარალეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

1938 წელს აირჩიეს სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და იყო მისი უცვლელი თავკაცი 1987 წლამდე — პენსიაზე გასვლამდე.

დიდია მიხეილ ორაგველიძის დამსახურება მშობლიური ქვეყნის წინაშე. ჯერ კიდევ 1947 წელს მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებულია 10 ორდენითა და მრავალი მედლით. იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ხუთი მოწვევის დეპუტატი, რესპუბლიკის საკოლმეურნეობათაშორისო საბჭოს უცვლელი წევრი.

მ. ორაგველიძე კოლმეურნეობის თავმჯდომარეობის პირველსავე წლებიდან გახდა ინიციატორი და სულის ჩამდგმელი უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობისა. ეს შესანიშნავი ტრადიცია დღესაც გრძელდება.

მრავალწახნაგოვანი იყო მ. ორაგველიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ლიტერატურული საქმიანობა, ჯერ კიდევ 50-იან წლებში გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი „მეგობრობა“, 1968 წელს დაიბეჭდა მის მიერ შექმნილი მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოები „ძმობის ხიდი“, იყო მრავალი სტატიისა და პუბლიკაციის ავტორი.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, შესანიშნავი პიროვნება, დიდი ორგანიზატორი მიხეილ (მიხაკო) ორაგველიძე, რომლის ხსოვნაც მუდამ დარჩება მისი მრავალრიცხოვანი მეგობრის, აღზრდილისა და ნაცნობის გულებში.

ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ნ. ლეკიშვილი, მ. ჭკუასელი,
ი. ანდრიაძე, ბ. გულუა, ზ. გეგეჭკორი, მ. გასანოვი,
კ. კიკალიშვილი, ვ. კუნჭულია, თ. ფიფია, ვ. ცანავა,
გ. წითლიძე.

მ. ორაგველიძის გარდაცვალების შესახებ

სოფლის მეურნეობის დიდი ორგანიზატორის ღვაწლმოსილი მუშაკის მიხეილ ორაგველიძის გარდაცვალების გამო საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: **მიხეილ ჭკუასელი** (თავმჯდომარე), **ირაკლი ანდრიაძე, ზურაბ გეგეჭკორი, მაგარამ გასანოვი, კლიმენტი კიკალიშვილი, ვლადიმერ კუნჭულია, თემურ ფიფია, ვალერიან ცანავა, გივი წითლიძე.**

მიხეილ ორაგველიძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მიხეილ ორაგველიძის დამკრძალავი კომისიისაგან

მიხეილ ორაგველიძის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 16 მაისს და 17 მაისს, 16 საათზე, განსვენებულის ბინაზე (ოზურგეთის რაიონი, სოფელი შრომა).

გამოსვენება იქიდანვე 18 მაისს, 14 საათზე.

გურიის სამხარეო ადმინისტრაცია და ოზურგეთის რაიონული გამგეობა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, სოფელ შრომის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე

მიხეილ (მიხაკო) ორაგველიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვალებულის ოჯახს.

სარედაქციო ფოსტიდან

მონოპოლიისგან ვთავისუფლდებით თუ კვლავ ვებღაუჭებით?

დემონოპოლიზაციის პროცესი კარგახანია დაიწყო როგორც მთელ ქვეყანაში, ისე აჭარაში, თუმცა პრაქტიკულ საქმიანობაში ადმინისტრაციული მმართველობის შენარჩუნების ცდები ჯერ მთლიანად არ დაძლეულა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ზღუდავს სამეურნეო ერთეულების ეკონომიკურ თავისუფლებას, აფერხებს მათ დამოუკიდებელ პირად ჩამოყალიბებას, საერთოდ ეკონომიკის დემონოპოლიზაციის პროცესს.

შორს არ წავალ, ჩვენი საწარმოს — ბათუმის პურკომბინატის № 2 საცხობის მაგალითს მოვიტან. რესპუბლიკაში პურპროდუქტების სისტემის პრივატიზაციის ბოლო, მესამე ეტაპი დასასრულს უახლოვდება, მაგრამ ჩვენი საცხობის პრივატიზაცია, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 7 აგვისტოს № 303 ბრძანებულების მიხედვით პირველ ეტაპზე იყო გათვალისწინებული, ჯერაც არ დაწყებულა.

რა მოხდა, ვინ გადაუდგა წინ ამ ბრძანებულების აღსრულებას? რა თქმა უნდა, ამაში საცხობის შრომით კოლექტივს ვერ დავადანაშაულებთ. მას სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით მინიჭებული უფლებების მისაღებად, რაც ობიექტის პირდაპირ შესყიდვას ითვალისწინებდა, დადგენილი წესით დამუშავებული საპრივატიზაციო დოკუმენტაცია ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში ჰქონდა მომზადებული, მაგრამ პროცესი ხელოვნურად შეაფერხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვის სამინისტრომ. საქმე ის გახლავთ, რომ საცხობი, რომლის ღირებულება (არსებული მეთოდიკით გაანგარიშებული) შეადგენს 27559 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ეროვნული ვალუტით, ამ სამინისტროს მიერ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეფასდა 399962 აშშ დოლარად, ესე იგი 16-ჯერ მეტად. აქედან დაიწყო საცხობის შრომითი კოლექტივის გზა გოლგოთისაკენ, რომელიც უკვე ცხრა თვეა გრძელდება და დასასრული ჯერაც არ უჩანს.

ვის აღარ მივმართეთ, რომელი ინსტანცია აღარ შევაწუხეთ, მაგრამ ბიუროკრატიის სიჯიუტე ვერ შევარყიეთ. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს პურპროდუქტების სახელმწიფო-კომერციული კორპორაციის პრეზიდენტმა წერილით (27.12.95 წ. № 03-3 (05)2012) აჭარის პურპროდუქტების სამმართველოს ხელმძღვანელობას დაავალა უზრუნველეყო № 2 საცხობის საპრივატიზაციო კომისიის მასალების ქონების მართვის სამინისტროში წარდგენა და ობიექტის არსებული წესით შრომით კოლექტივზე მიყიდვა (ამ საქმეში მხარი დაგვიჭირა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომაც), უწყებრივი ბარიერი მაინც გადაულახავი დარჩა. ამას მოჰყვა სხვა სიძნელეებიც — საცხობის მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიკური ბლოკადა და მორალური დისკრიმინაცია. ბათუმის პურკომბინატის ადმინისტრაციის ბრძანებით შეჩერებულია № 2 საცხობის მუშაობა, უდუკმაპუროდ დარჩა დიდი ტრადიციების მქონე კოლექტივი, რომელსაც ჰყავს მაღალკვალიფიკაციური სპეციალისტები და მუშები. და ეს ხდება მაშინ, როცა არასპეციალისტებით ივსება პურის საწარმოები (ვისაც არ ეზარება ყველა პურს აცხობს).

წარმოუდგენელი რამ ხდება: აჭარის პურპროდუქტების სისტემაში შემავალ საწარმოთა ბაზაზე შარშან დეკემბერში სახელმწიფოს მეთაურის № 303 ბრძანებულების უგულებელყოფით შეიქმნა საწარმოო გაერთიანება „აჭარპური“, რომელიც აერთიანებს პრივატიზაციის ნუსხით პირდაპირ შესყიდვას დაქვემდებარებულ ობიექტებს. გათვალისწინებულია იგი გარდაიქმნას სააქციო საზოგადოებად, რომელსაც ექნება აქციათა საკონტროლო პაკეტი (51 პროცენტი). საოცარია, ვითომ მონოპოლიზაციისგან ვთავისუფლდებით და სინამდვილეში მონოპოლიას კიდევ უფრო მაგრად ვებღაუჭებით.

რა თქმა უნდა, „აჭარპურის“ შემადგენლობაში შეჰყავთ № 2 საცხობიც. მოსალოდნელია მისი აქციონირება შრომითი კოლექტივის ნებასურვილის გაუთვალისწინებლად, რაც მის ისედაც საპროტესტო განწყობილებას კიდევ უფრო ამძიმებს. ჩვენ ეს ოფიციალურად გამოვხატეთ კიდეც სააქციო საზოგადოება „აჭარპურის“ დამფუძნებელთა კრებაზე (1996 წ. 7 მაისს), რომელიც დემონსტრაციულად დავტოვეთ.

ჩვენი მოთხოვნა (ობიექტის პირდაპირ შესყიდვისა) კანონიერია და ბოლომდე ვიბრძოლებთ მისი აღსრულებისათვის, არავის არა აქვს უფლება კოლექტივს წაართვას კანონით მინიჭებული დამოუკიდებლად მუშაობისა და ცხოვრების პრივილეგია. მით უფრო, რომ საწარმო ამ კოლექტივის ჯაფით არის შექმნილი და უპრიანია მას თვითონვე უპატრონოს.

კოლექტივის სახელით
ბათუმის № 2 პურის საცხობის წარმოების უფროსი
გია დოლიძე.

წიგნი

„გამხნევდი, შენ გენაცვალე!..“

ვედი ჭეშმარიტი ქართვე- ამ სიტყვებით მიმართავს თავის მრავალტანჯულ სამ- ლოს. ილიას გზით ევლოს სა- ელოს და მის ხალხს, — თველოს ანთებული სანთლე- ბელში შინ თუ გარეთ, რა- „სხვა გზა, სხვა ხსნა“ არ ნია.

ვენი საუკუნის უკანასკნელ ლში პუბლიცისტიკა ახალ ში გაეხვია, გააქტიურდა... ბუნებრივი მოვლენაა, რადგან რომ ერის ცხოვრების მა- ფას, საზოგადოებრივ აზრს ცისტიკა ყველაზე ნათლად პირუთვნელად გამოხატავს. ამ პუბლიცისტური წერი- ასახავენ ერის სულიერი ების მნიშვნელოვან ფაქტე- და მოვლენებს.

პუბლიცისტის შეხედულებები ტიკის, ეკონომიკის, სოცი- პრობლემების შესახებ ფაქტორის გამო ხშირად ებებს განიცდის, რადგან სწრაფად იცვლება მოვლე- მათგან განსხვავებით ერო- საკითხის პრობლემა ყველა პუბლიცისტიკაში უბერებ- თანამედროვეა, თუ ერს სი- უწერია.

მიტომაც არის, რომ ღვაწ- ქართულ პუბლიცისტიკაში გა- ხატულებას პოვებს ილიას, რო- პუბლიცისტის, ეროვნული სოციალური ტკივილები, ჩვენი ების გუშინდელი დღე. აქე- გამომდინარე, ალბათ, სრუ- ბუნებრივად უნდა ჩაითვა- ისიც, რომ პროფესორმა ტა- კვანჭილაშვილმა თავისი წე- კრებულს — „ილიას უწოდა. წიგნი გამოსცა ისის სახელმწიფო უნივერსი- გამომცემლობამ, ორ წა- (1995 წელს რედაქტორი: სალიაშვილი, რეცენზენტები: მიშველაძე, თ. სანიკიძე), რო- თავმოყრილია უკანასკნელ ქართულ პრესაში გა- ქვეყნებული პუბლიცისტური წე- უმრავლესობა. ავტორი ამ პერიოდის საქარ-თველოს ეკონომიკის, პოლიტიკის, დემოგრაფიის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მწვავე საკითხებს, აქვეა პოლემიკური ხასიათის წერილებიც.

ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას ის გაბედულება და სითამამე, რომელსაც შეუზღუდავი უფლებებით აწვდის მკითხველს თავის აზრს, პუბლიცისტი გამოხატავს — რა თავის მსოფლმხედველობას ამა თუ იმ მოვლენის ანალიზის დროს, მკითხველისადმი მიმართულ წერილში გულწრფელად აღიარებს:

„... დროის აღნიშნული მონაკვეთი სავსე იყო საოცარი მღელვარებით, მნიშვნელოვანი ფაქტებითა და მოვლენებით, ძველის ნგრევითა და ახალის შენებისათვის საჭირო გზების ძიებით...“

ასეთ საჭირო გზად პუბლიცისტს ილიას გზა მიაჩნია, ამიტომაც როდესაც გამოხატავს თავის ხედვას ჩვენი ცხოვრებისეული საკითხების გადასაჭრელად, ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საქართველომ ილიას გზით უნდა იაროს, რომ უკეთესი საქართველოს მოლოდინში მხოლოდ ილიას გზა მიგვიყვანს იმ სანუკვარ ტაძრამდე, რომელზედაც ოცნებობს ყოველი ქართველი.

მძაფრი და შეუპოვარია პუბლიცისტის წერილები რუსეთის დიდი იმპერატორის მ. გორბაჩოვის მიმართ, რომელსაც ნ. ხრუშჩოვის მემკვიდრედ თვლის.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ წერილები: „ფიქრები“, „ვინ გვაშინებს“, „ცხოვრების გაკვეთილები“, „ლაღი ფიქრები“, „ნუგეში არ მოგვშლოდეს“ და სხვ.

და მაინც, რაგინდ მკაცრი და მწვავე უნდა იყოს პუბლიცისტის გამონათქვამი, უკეთესი საქართველოს მოლოდინში მომავლის ღრმა რწმენით, საქართველოს გადარჩენის იმედით ავსებს მკითხველის გულს. და რაც მთავარია, წერილების ავტორს სწამს და სჯერა, რომ ძალისმიერი მეთოდებით ბრძოლა დროებითია, მთავარი მაინც სიმართლეა.

ვაკეთოთ „საჩვენო“ და არა „საჩემო“ საქმე, — თქვა დიდმა ილიამ, და ამის საპასუხოდ პუბლიცისტი მართებულად შენიშნავს: „მე საქართველოსათვის“, თუ „საქართველო ჩემთვის?“ და დიდი გულისტკივილით პასუხობს: — „მე საქართველოსათვის, სამწუხაროდ მათი რიცხვი არცთუ დიდია“, „საქართველო ჩემთვის“ — ამ პრინციპზე მდგომნი თითქმის იგივე ყვარყვარეები არიან!“...

უდიდესი ტკივილით საუბრობს პუბლიცისტი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის შესახებ და მძაფრი პოლემიკური ტონით მიმართავს მათ, ვინც ხელყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. იგი უყურადღებოდ არ ტოვებს ასევე ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ამსახველ საბუთებს. ამ წერილებს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქართული პუბლიცისტიკის ისტორიისათვის, არამედ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვისაც.

როგორც ლიტერატურის ისტორიკოსმა და ბრწყინვალე მცოდნემ ამ დარგისა, პუბლიცისტმა გვერდი ვერ აუარა უკანასკნელი ათწლეულის, კერძოდ 80-იანი და 90-იანი წლების ქართული პროზის მიმოხილვას: ამ მიმართებით პუბლიცისტის ხედვა ფრიად დამაფიქრებელია. მისი აზრით: მწერლობამ უნდა შექმნას ამ პერიოდის ისტორიული მოვლენების, ფაქტების ამსახველი წიგნები ეროვნული ნიშნით: განსაკუთრებით დიდ მოთხოვნებს უყენებს ახალგაზრდობას, მათგან უფრო მეტ სითამამეს და გაბედულებას მოელის. სწორედ მათ შეახსენებს წიგნის ავტორი გასული საუკუნის 60-იანი წლების მწერლების შემოქმედებას, როდესაც ქვეყნის ეროვნული თუ სოციალური ტკივილები ბრწყინვალედ გამოიხატა ქართულ მწერლობაში.

ამ ბოლო დროს პუბლიცისტიკამაც იცვალა თავისი სახე. ჩვენი ცხოვრების სოციალური პრობლემები ალბათ გამოსწორდება, მაგრამ ჩვენს სულიერ ცხოვრებას, ეროვნული ტკივილებით სავსეს, დიდი, ძალზედ დიდი დრო დასჭირდება განსაკუთრებულად.

პროფ. ტარიელ კვანჭილაშვილის დიდი ეროვნული ტკივილებით აღსავსე წერილებმა, „ქვათა ღაღადის“ ავტორი გამახსენა: როცა ამ უბრწყინვალესი პუბლიცისტური წერილების სერია „ივერიაში“ დაიბეჭდა, საუკუნის დასასრულს ერთი წელი აკლდა. ილია სულ მარტო უსმენდა საქართველოს გულისძგერას, სუნთქვას. მაშინ უდიდესი უფსკრულის წინაშე იდგა საქართველო თავისი პარტიებითა და წოდებებით. „საკმარისია ხელი გვკრან და ამ უფსკრულში გადავიჩეხებითო“, — უთქვამს ილიას. ეს არ მოხდა! მაგრამ ილიას მარტოობას მოჰყვა ის, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისში, წიწამურთან საქართველომ კიდევ ერთხელ დაიკვნესა და ერის გაწყვეტილი სული ისევ შეჩერდა, ჩვენივე ხელით მოვკალით ერის წინამძღოლი, მერე თავი იმით ვინუგეშეთ, რომ წიწამურის ტრაგედიით ახალი რენესანსი დაიწყოო... ამ დროიდან კიდევ ერთი საუკუნე გასძლო გულმკვდარმა საქართველომ და მაინც გადავრჩით. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, თავის რჩეულ შვილებს ვერასოდეს დაივიწყებს. საქართველოა: ბობოქარი გალაკტიონი და დაუვიწყარი ტიციანი, ლადო და პაოლო, გამსახურდია და ჯავახიშვილი, ნოსტალგიით გარდაცვლილი რობაქიძე და, ვინ იცის, რამდენი, რომელთა მოვლენამ ჩვენს საუკუნეში ქართველობას სული გადაურჩინა.

ტ. კვანჭილაშვილის პუბლიცისტური წერილები ეროვნული ნიშნით სწორედ სულის გადარჩენის იმედს აძლევს მკითხველს. იგი ილიას გზას ირჩევს და მოუწოდებს თავის ხალხს ამ გზით სიცოცხლის გაგრძელებას. მას სწამს, რომ XXI საუკუნის კარებს თავისუფალი საქართველო შეაღებს და დაიწყება ახალი ხანა, ისევ ილიას გზით:... მხოლოდ „გამხნევდი, შენ გენაცვალე საქართველოვ!“. ეს სიტყვები კრებულის ავტორს პროფ. ტარიელ კვანჭილაშვილს ეკუთვნის და არა მარტო მას.

ლიანა ფერაძე.

სიტყვა მეგობარ პოეტზე

„თუში ვარ, მაგრამ ქარ[illegible] ვარ...“

ამ ბოლო დროს ქართველ მწერალთა შორის ხშირად მოჰკრავთ თვალს მზისგან გარუჯულ, ვაჟკაცური იერის მქონე, ლამაზშუბლიან და მეტყველთვალება ახალგაზრდა კაცს. ეროვნულ კრებებზე, საზეიმო თუ სამგლოვიარო მიტინგებზე, სიტყვის კორიფეთა საიუბილეო საღამოებზე ზის იგი სხვათა შორის სცენაზე და თავის რიგს ელოდება. როცა თავმჯდომარე სიტყვას მისცემს, წამოდგება და, ცოტა არ იყოს, დარცხვენილი, შემკრთალიც კი გააბიჯებს ტრიბუნისაკენ. თითქოს წინასწარ ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ არც ისეთი სახელი და გვარი აქვს, მკითხველს რომ პირველი გაგონებისთანავე დაამახსოვრდება და ჯერჯერობით არც ლიტერატურული ცხოვრების იმოდენა გზა აქვს გავლილი, მის შემოქმედებაზე ყოველ მოსახვევთან რომ იდგნენ და კამათობდნენ.

მშვენიერია ახალგაზრდა შემოქმედის ეს შეკრთომაც და დარბაზისკენ მიმართული იმედიანი მზერაც. იმ მზერაში შეღავათის თხოვნა როდი ჩანს, უფრო ჭეშმარიტი შემოქმედის თავმდაბლობა იგრძნობა, აქაოდა, ჩემი სიახლე-უცნობობა მაპატიეთო. წელში რომ გაიმართება და ღრმად ამოისუნთქავს, მაშინვე გადაგედება ჯავარიანი სიტყვის გაგონების მოლოდინი თავის თავში, თავის ძალაში დარწმუნებული კაცის მზერა რომ ბადებს.

ლექსს პატარა შესავალ სიტყვას წაუმძღვარებს, განმარტებისათვის კი არა, ადრესატისადმი თავისი მოწიწების დასტურად და მერე კითხვას იწყებს. კითხულობს მკაფიოდ, ჭეშმარიტი ქართული ინტონაციით, ერთგვარი არტისტიზმითაც. ლექსში უშუალობა, გულწრფელობა, დაუფარავი პოზიცია, სიყვარული და მიმობელი გული ჩანს. დაამთავრებს კითხვას და მსმენელთა ტაშის გრიალში თავის ადგილს ისევე თავდახრილი, ცოტა შეცბუნებულიც უბრუნდება, როგორც ავიდა სცენაზე. ტაშისთვის პუბლიკას თავს არ უკრავს და ჰაეროვან კოცნებს არ უგზავნის. თითქოსდა, ეს ტაში მას არც დაუმსახურებია, თითქოსდა, ტაში სხვას ეკუთვნის. არადა, მან ამ გამოსვლით დღეს დიდი საქმე გააკეთა; თავის მართალ ლექსს ბუნებით ნაბოძები არტისტიზმიც წაამშველა და მკითხველს სამუდამოდ დაამახსოვრა — დავით ტიგინაშვილი.

დავით ტიგინაშვილი თუშია. ქართველ მეციხოვნეთა უმამაცესი ტომის შთამომავალია და ხმაქვევაც თავის დიდებულ წინაპრებს მიუგავს. კოსტუმ-ჰალსტუხიც, რა თქმა უნდა, უხდება, მაგრამ როცა მხვდება, სულ მგონია, რომ ამ მაცდურ თბილისში ამაყთა საუფლოდან ჩამოიტყუეს, ესესაა თუშური ცხენის ალვირი ვიღაცას ხელთ შეაჩეჩა, ფარ-ხმალი და თორ-ტყაპუჭი კუდისებში დაალაგა და ჩვენნაირად გამოწყობილს ესთეტი-ინტელიგენტის დამღლელ როლს ათამაშებენ.

თუშეთი! ამ ლეგენდარულ კუთხეს ბრძნული და მაღალპოეტური ზეპირსიტყვიერება ამშვენებს, მაგრამ თუშეთიდან მწერლობაში წინათ შემოსულ მკაფიო ლიტერატურულ სახელს ამ წუთში ვერ ვიხსენებ.

განსხვავებით ფშავ-ხევსურეთისგან, თითქოს საქართველოს მოდარაჯე თუშებმა კლასიკური, პროფესიური მწერლობისათვის ვერ მოიცალეს. ამ ბოლო წლებში ქართული პოეზიის ლამაზმა ენძელამ — ეთერ თათარაიძემ გაგვახარა და აი, სულ ახლახანს ლიტერატურის ჰორიზონტზე დავით ტიგინაშვილის პოეტური სანთელი აინთო.

ჩემს მაგიდაზე დავით ტიგინაშვილის ლექსების წიგნი დევს. იგი „მერანს“ ახლახანს გამოუცია და „თუშური ჰანგის წკრიალი“ ჰქვია. წიგნისთვის გზის გამკვლევად მშვენიერი სიტყვა — პასპორტი წარუმძღვარებია შოთა ნიშნიანიძეს. **„დავითის ლექსებსაც თუშური ფარდაგისა და ჯეჯიმის თვალმიმტაცი ფერადოვნება დაჰკრავსო“**, ბრძანებს.

სადა, ჭეშმარიტად გულიდან მომდინარე სტრიქონები, არსად თვითმიზნური ლექსკოპწიაობა, მანჭვა-გრეხა... დავით ტიგინაშვილის ლირიკული გმირი ასე ნათლად და ლამაზად გესაუბრებათ: — **„ან გულს როგორღა ვუწამლო, ან თავს როგორღა ვუშველო, სად დაფრინავდი, სად იყავ, ან რა ვიყავი უშენოდ... მე შენთვის, ჩემო სიცოცხლევ, შეწირული ვარ ტარიგად, ვაი, ჩემს თავსა უბედურს; უშენოდ რომ მოვმკვდარიყავ“.**

ლექსებს განწყობილების უშუალობა და ლირიული დრამატიზმიც ახლავს. ეს სევდა და დრამატიზმი სამშობლოს ძნელბედობითაცაა ნასაზრდოები და ახლახანს ჩავლილი ძმათა ომის პოეტური რეკვიემიც გახლავთ. რაც მთავარია, დავით ტიგინაშვილს თავისი კაცური სიმართლე აქვს, ლექსებიც თავისი მკითხველისთვის უძღვნია. ეს მკითხველი დღევანდელი სევდიანი საქართველოა. **„ცხრა აპრილი, მამულო, განა დაგვავიწყდება? მრისხანების ზარები არასოდეს მიწყდება“**, — წერს პოეტი და გრძნობს, რომ იმ მრისხანების ზარების ენა-თასმაზე ხელი დავით ტიგინაშვილსაც უკიდია. მისი მარჯვენაც არისხებს ზარებს მშობელი ხალხის გასაღვიძებლად.

იქნებ, ეს პატარა წერილი დავით ტიგინაშვილის ლექსებზე დაწერილი პირველი რეცენზიაც იყოს. თუ ასეა, მკითხველის გასაგონად ხაზგასმით ვიტყვი: შუაში ჩაგვიყენებია შოთა ნიშნიანიძეს და მე ჩვენი უმრწემესი პოეტი ძმა დავით ტიგინაშვილი და მასთან ერთად თამამად ვივლით ლიტერატურის ბილიკებზე.

რევაზ მიშველაძე.

— დავით ტიგინაშვილი

გაგახარებ, საქართველოვ...

დღე და ღამე უკან დამდევს
ჩემი ყრმობის აჩრდილი,
დარიალის წყაროებით
და მტვრითა ვარ გაზრდილი.
ქიუხებში შენი ქვეყნის
საზღვრის დაცვას სხვა რა სჯობს, —
მე და თერგი საქართველოს
დარიალზე ვდარაჯობთ!
მყინვარწვერო, მე გულს მიკლავს
შენი ტრფობა ფარული,
ჩუმად მითხარ, დედოფალი
სად გყავს გადამალული?
გაგახარებ საქართველოვ,
კეთილი მაქვს მიზანი, —
თამარ მეფეს ოქროს ეტლით
მალე გამოგიგზავნი.

დარიალი
აპრილი, 1996 წელი.

ბავშვთა და მოზარდთა საზაფხულო შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამა „ურეკი—მომავლის ქალაქი“

საქართველოს ბავშვთა ფედერაციის წინადადებით 1996 წლის საზაფხულო არდადეგების პერიოდში დაბა ურეკში განხორციელდება საზაფხულო შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამა „ურეკი — მომავლის ქალაქი“.

პროგრამის — „ურეკი — მომავლის ქალაქი“ — სახელმწიფოებრივი ხელშეწყობისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით დამტკიცდა ბავშვთა და მოზარდთა საზაფხულო შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამა „ურეკი — მომავლის ქალაქი“, რომლის არსია სოციალურად დაუცველი, მშობლების მზრუნველობას მოკლებული, იძულებით ადგილნაცვალი, სწავლაში გამორჩეული და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვების შემეცნებით-შემოქმედებითი დასვენება შავი ზღვის კურორტ ურეკში 1996 წლის საზაფხულო არდადეგების პერიოდში.

პროგრამა მოიცავს ოთხ ნაკადს, თითოეულს 14 დღის ხანგრძლივობით. პროგრამის ძირითადი იდეაა დავეხმაროთ ბავშვებსა და მოზარდებს შეიცნონ საკუთარი თავი და გააუმჯობესონ მათ გარშემო მყოფი სამყარო, შეიძინონ მეგობრები და მოძებნონ საქმიანობის ის სფერო, რომელიც მათ ინტერესებს შეესაბამება და საუკეთესო საშუალება იქნება თვითგამოვლენისა და ცხოვრებაში თვითდამკვიდრებისათვის.

დამტკიცდა ნაკადების მიხედვით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან გასაგზავნ ბავშვთა რიცხვი. ურეკში დაისვენებს 300 ბავშვი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან, 80 — სამაჩაბლოდან, 150 — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან, 383 — თბილისიდან, 75 — ქუთაისიდან, 46 — რუსთავიდან, 34 — ბოლნისიდან, 37 — გარდაბნიდან, 35 — მარნეულიდან და ა. შ.

პრეზიდენტის განკარგულებით საწარმოო გაერთიანება „სამთოქიმიას“ კონცერნ „საქკურორტს“, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმჯანმრთელობას“ დაევალათ საზაფხულო არდადეგების პერიოდში უზრუნველყონ პროგრამის მონაწილეთა დაბინავება უწყებრივ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში შესაბამისი ხარჯების ანაზღაურებით.

კულტურული პროგრამით გათვალისწინებულ მასობრივ ღონისძიებათა მოწყობისა და სათანადო აღმზრდელობითი კადრების მომზადების ხარჯებს გაიღებს საქართველოს ბავშვთა ფედერაცია. მასვე დაევალა საზაფხულო შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამის — „ურეკი — მომავლის ქალაქი“ — საერთო კოორდინაცია დისლოკაციის ადგილზე.

საქინფორმი

თეატრალური სეზონის გაზაფხული

სცენა გამოცოცხლდა

ნამდვილი გაზაფხული დაუდგათ თეატრებს. სიცივისა და უსინათლობის შემდეგ გამოცოცხლდა სცენა. თუმცა ახლაც ბევრს ლაპარაკობენ თეატრის კრიზისზე, მაგრამ როდის არ ლაპარაკობდნენ? თვალი გადავავლოთ თუნდაც მეოცე საუკუნის ქართული თეატრის ისტორიას.

მეოცე საუკუნის დაწყებას ცხოვრების ღრმა ცვლილებები მოჰყვა და ბუნებრივია, თეატრიც განიცდიდა ცვლილებებს. სანდრო ახმეტელმა სპეციალური სტატიაც გამოაქვეყნა სათაურით „ჩვენი თეატრის კრიზისი“, „ეს თემა, რომელსაც დასრულება აღარ უჩანს“ — ამბობდა იგი და შენიშნავდა, რომ თუ ლაპარაკია თეატრის „კრიზისზე“, იგი თვით ჩვენშია, ჩვენს სულიერ ლტოლვილებაში“.

და ამას წერს 1912 წელს. მაშინ ჯერ ახმეტელი რეჟისორი არ იყო!

კრიზისი „თვით ჩვენშიაო“, — როცა ამბობს — იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებაში მომხდარმა ღრმა ცვლილებებმა გამოიწვია ადამიანის შინაგანი სამყაროს შეცვლა, მაგრამ ახმეტელის აზრით, „არც ინტელიგენციის უნიადაგობა, არც მრეწველობის უქონლობა და არც ის, რომ მსხვილი ბურჟუაზიის კლასი არ გვყავს, არ ამართლებს სხვებზე ჩვენს ქვეშევრდომიულ დამოკიდებულებას“. ერთმანეთში გადაიხლართა ახალი ცენის წარმოჩენის, ახალი ეკონომიკისა და კულტურის ფორმირების პროცესი, სადაც სირთულეთა მთელი სინთეზია, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს სულიერ ცხოვრებაში. ასეთი ფორმის სიძნელეებს ხშირად კრიზისს უწოდებენ ხოლმე, მაგრამ პასუხი უნდა გაეცეს — რის კრიზისს?

დიახ, თანამედროვე თეატრს ეკონომიკური კრიზისი აქვს. მაგრამ არის კი შემოქმედებითი კრიზისი? შემოქმედებითი სიძნელეები, რომელიც დღეს არის, მიუხედავად ბევრი სპეციფიკური თავისებურებისა, მაინც ქართული თეატრის განვითარების საერთო ტენდენციებშია მოქცეული. განა ღრმა კრიზისზე არ იყო ლაპარაკი მაშინ, როდესაც ასპარეზიდან მიდიოდა ვ. აბაშიძისა და ლ. მესხიშვილის თაობა? განა მაშინ არ წერდნენ, რომ თეატრს ახალგაზრდობა ვერ წარუძღვებოდა? ისტორიამ კი სხვა დაგვანახა. ვ. აბაშიძის და ლ. მესხიშვილის დიდი აქტიორული თაობის გვერდით მოვიდნენ უ. ჩხეიძის, ვ. ანჯაფარიძის, აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის თაობები. ხომ შექმნეს დიდი თეატრი — თუმცა მაშინაც ლაპარაკობდნენ კრიზისზე. არც ვ. ანჯაფარიძისა და ა. ხორავას „შემცვლელი“ თაობის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ისინიც მოვიდნენ. მარტო ეროსი მანჯგალაძის სახელიც კმარა! იგივე ხდება რეჟისურაშიც.

თანამედროვე თეატრის ცხოვრებაში ათასი განსხვავებული შრეებია, ათასგვარი დინებები, სადაც არის წარმატებებიც და კრიზისული მოვლენებიც. ახლის ძიების თვით პროცესი ყოველთვის შეიცავს კრიზისულ მომენტებს. შემოქმედებაში ტყუილად არაფერი არ ხდება, მაგრამ მისი სიძნელეები ყოველთვის როდი არის ეკონომიკური, ან სხვა სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის სირთულეთა იდენტური. მაშინ, როცა ქვეყანაში საშინელი რეპრესიები იყო გაჩაღებული, როცა ყველა მოიცვა ზნეობრივმა კრიზისმა, როცა ყველაფერს დაეუფლა შიში, აკაკი ხორავამ შექმნა ოტელოს გენიალური სახე (1937 წ.). იმ თაობებისათვის, ვინც 20-იან წლებში ახალი ტიპის თეატრს ქმნიდა, განა ადვილი იყო კლასთა ბრძოლის იმ საშინელ ეპოქაში ახალი, დიდი მხატვრული ღირებულებების შექმნა? გაიხსენეთ 1924 წელი, სოფლად კულაკობის განადგურება, კოლექტივიზაცია და კიდევ რამდენი სხვა რევოლუციური ცვლილებები, თეატრს თითქოს მხრები უნდა ჩაეღუნა, გული უნდა გასტეხოდა, მაგრამ იგი სწორედ ამ წლებში აღორძინდა, **როგორც ეროვნული სულის გადარჩენის საშუალება, როგორც თავისებური პროტესტი და თვითგადარჩენის ინსტინქტის აფეთქება.** განა მსგავსი და შესაძლოა ბევრ რამეშიც უფრო რთული პროცესებიც არ გადაიტანა ქვეყანამ უკანასკნელ ხუთწლეულში? არც მაშინ ყოფილა თეატრი გარინდებული. იგი ცხოვრების წიაღში ტრიალებდა.

უბედურება ის არის, რომ მძიმე, ხშირად ტანჯვით ცხოვრების ყოველდღიურობაში იკარგება ისტორიზმის გრძნობა, ამიტომ ჯეროვნად ვერ ვაფასებთ ხოლმე იმას, რასაც ერისთვის მარადიული ღირებულება აქვს. **არ შეიძლება პატარა ერის კულტურა ფინანსური „ნარჩენებით“ იკვებებოდეს.** ადამიანის ცხოვრებაში ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ ხომ არსებობს პრიორიტეტული მიმართულებები?

დღეს ქართულ თეატრს ბევრად უფრო მეტი გასაჭირი აქვს, ვიდრე ახლო წარსულში ჰქონდა. თავისუფლება ძვირადღირებულია. მონაზე პატრონი ზრუნავს, თავისუფალმა კი თავად უნდა მიხედოს თავს. ყველა თეატრს კი არ შეუძლია „თავს მიხედოს“, ანშლაგებიც რომ ჰქონდეს, მაინც ვერ დაფარავს ხარჯებს, საჭიროა ქალაქმა მიხედოს. სამ აკადემიურ თეატრს სახელმწიფო ასე თუ ისე მაქსიმალურად აფინანსებს. განსაკუთრებული პრობლემებია რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების თეატრებში. პირდაპირ უნდა ვთქვათ: თეატრის ბედი მთლიანად არის დამოკიდებული ქალაქის მერზე, გამგებელზე. თუ მოხდა ბედნიერი შემთხვევა და ინტელიგენტი, თანაც ჭკვიანი აღმოჩნდა ქალაქის მეთაური, ხომ კარგი და თუ არა — დაღუპულია თეატრის საქმე!...

ჩვენ გვაქვს არაერთი მაგალითი, როცა რეგიონში ხელმძღვანელი დიდი ძალისხმევით ზრუნავს საერთოდ კულტურაზე და კერძოდ თეატრზე. არაერთხელ ვთქვით, რომ ბათუმში კულტურის ცენტრებს ნამდვილი მფარველი გამოუჩნდა. შედეგიც რეალურია. განა სასიხარულო არ არის ის ფაქტი, რომ ქუთაისში თოჯინების თეატრში ბავშვები სპექტაკლებს უფასოდ ესწრებიან?

თეატრზე ზრუნავენ!

თუ ერთხელ დაინგრა თეატრი, მერე მის აღსადგენად დიდი დროა საჭირო, არადა, საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს ზუგდიდის, მესხეთის, ოზურგეთის და სხვა ქალაქების თეატრებს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ისინი გადავარჩინოთ. ომის დროს, უმძიმეს პირობებში გადაურჩნენ თეატრები დახურვას.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის მთავარ რეჟისორად დაინიშნა გამოცდილი, ნიჭიერი რეჟისორი ნ. ლორთქიფანიძე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თეატრში სერიოზული შემოქმედებითი ცვლილებები მოხდება...

თანდათან იკვეთება რეჟისორთა ახალი ნაკადი, მათ საიმედო განცხადებები გააკეთეს, მაგრამ მთავარი სათქმელი ჯერ წინაა, რეჟისორებს მხარს აუბამენ ახალი აქტიორული ძალები. ამ მხრივაც არ ვართ ღარიბნი. საერთოდ, თანამედროვე **ქართული რეჟისურისა და სამსახიობო ხელოვნების დონე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის თეატრებს გაუწევს კონკურენციას.** ამასთანავე, საფიქრალი და საზრუნავია ის სფერო, რომელსაც თეატრის დირექტორი ჰქვია. ეს უაღრესად რთული, ათასი სპეციფიკური თავისებურების შემცველი პროფესიაა, ყველას, თუნდაც თავისთავად კარგ ორგანიზატორსაც კი არ შეუძლია თეატრის ასევე კარგი დირექტორი იყოს.

ვისაც პ. კანდელაკის სახელი ახსოვს, ის მიხვდება რა არის თეატრის დირექტორობა. მართალია ასეთები ცოტანი იყვნენ, მაგრამ ისინი განსხვავებულ თეატრალურ კოლორიტს აძლევდნენ თეატრალურ ცხოვრებას, მაყურებელსაც უყვარდა მათთან შეხვედრა, განსაკუთრებით ინტელიგენციას. ასეთი განსხვავებული შინაგანი კულტურის დირექტორია მუსიკალურ თეატრში ნ. ჰოლაძე, რომელიც ათეული წლობით მოღვაწეობდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში. რუსთაველის თეატრმა კი, იმის ნაცვლად, რომ გამოეყენებინა მისი გამოცდილება, იგი გაანთავისუფლა, და ამით ძალიან ბევრი რამ დააკლდა თეატრს. პატიოსნება და ინტელიგენტობა ხშირად უძლურია ძალადობის წინაშე...

კარგია, რომ ამ ღვაწლმოსილ კაცს, რომელსაც არამარტო ბევრი რამ უნახავს, არამედ მონაწილეობა მიუღია ქართული თეატრის რთულ ცხოვრებაში და მისი განკარგებისათვის უბრძოლია, მუსიკალურმა თეატრმა მისცა საშუალება ისევ თეატრს მოახმაროს თავისი გამოცდილება და ენერგია.

როცა ახალგაზრდობის წარმოჩენაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი ინსტიტუტის, ხშირად **სასწავლო თეატრის** სცენიდან მოდიან. მარტო ამ სასწავლო წელს, თეატრისა და კინოს ინსტიტუტის **სასწავლო თეატრის სცენაზე 14 სპექტაკლი** იდგმება, მათ შორის, ხუთი უკვე დაიდგა. თოთხმეტი პრემიერა იმდენია, რასაც ვერ დგამს ჩვენი სახელოვანი რუსთაველის, მარჯანიშვილის და კიდევ ორი-სამი დრამატული თეატრი **ერთად აღებული.** სტუდენტურ დღეებთან დაკავშირებით 29 აპრილიდან **სასწავლო თეატრში** მთელ კვირას გასტანა ახალი საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების ჩვენებამ და მაყურებელმა ნახა, რომ დაუშრეტელია ქართული თეატრის პოტენციალი!

ახალგაზრდობას ყოველთვის აქვს გულწრფელი და გულუბრყვილო ილუზია, რომ თითქოს მისით იწყება ახალი ეპოქა, გავა დრო და მას შეცვლის მკაცრი რეალობა. რაც უფრო მეტი იქნება შემოქმედებითი მიღწევა და მდიდარი გამოცდილება, მით უფრო თავმდაბალი და მოკრძალებული გახდება იგი.

განსაკუთრებით სასიხარულოა იმ ახალგაზრდა რეჟისორთა წარმოჩენა, რომლებიც სულს უბრუნებენ რაიონისა თუ ქალაქების თეატრებს. დეცენტრალიზაციის პროცესი, რომელიც მთელს ცხოვრებას მოიცავს, კულტურის სფეროშიც უნდა გამოიკვეთოს. ლაპარაკია ერის შემოქმედებითი პოტენციალის განაწილებაზე. არ შეიძლება ყველაფერი ერთ ქალაქში იყოს თავმოყრილი. საქართველო ძლიერი იყო იმით, როცა კულტურული და სამეცნიერო ცენტრები მთელ საქართველოს ტერიტორიაზე იყო. უნდა დავძლიოთ ღრმა ფსიქოლოგიური ბარიერი, თითქოს მხოლოდ თბილისში შეიძლება ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება. ხომ იყო პერიოდები, როცა პერიფერიის თეატრებში იქმნებოდა საუკეთესო სპექტაკლები. მძიმე ეკონომიკური პირობები ყველა თეატრს აქვს, მაგრამ რეგიონებში კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობა იგი. ამიტომ გამორჩეულად დაფასების ღირსია ვინც დღეს თეატრს არ სტოვებს და ფაქტობრივად უსასყიდლოდ მოღვაწეობს. გორის თეატრს სათავეში ახალგაზრდა რეჟისორი ჯაყელი ჩაუდგა სათავეში და თავისი კვალიც დააჩნია. მან შესძლო ქალაქში თეატრალური ატმოსფერო შექმნა. გორის თეატრს ხომ უმდიდრესი ტრადიცია აქვს!

ახლახანს ზუგდიდის თეატრში პრემიერა შედგა. ახალგაზრდა რეჟისორმა დ. ღვთისიაშვილმა ჯ. მონიავას პიესა — „ჯვარცმული ბედნიერება“ დადგა. სპექტაკლმა მაყურებლის ინტერესი გამოიწვია. ქალაქებში ერთბაშად გამოცოცხლდა კულტურული ცხოვრება. ჯ. მონიავას ეს მეორე პიესაა ამ თეატრში. კარგად მახსოვს ის ბედნიერი შემთხვევა, როცა თეატრს სათავეში ჩაუდგა მაშინ ახალგაზრდა რეჟისორი თ. ჩხეიძე და მასთან ერთად ზუგდიდში მსახიობთა ჯგუფიც წავიდა. მათ შორის იყო ჯ. მონიავაც. დ. ღვთისიაშვილის მისვლა თავისებური გადაძახილია უახლეს ისტორიასთან და გაწყვეტილი კავშირის აღდგენის ერთგვარი ცდაცაა. ახლა რეჟისორი უკვე შეუდგა ჯ. მონიავას პიესაზე რეპეტიციებს კ. მარჯანიშვილის თეატრში.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ კვლავ ვიხილეთ ცხინვალის თეატრის სპექტაკლი. დაიდგა მ. ელიოზიშვილის „ბერიკონი“ (რეჟ. თ. ხიზანიშვილი), დრამატულია ბედი სოხუმისა და ცხინვალის თეატრებისა. მათი მუდმივი მაყურებელი ლტოლვილია და მთელ საქართველოშია მიმოფანტული.

ახალგაზრდა რეჟისორის დ. საყვარელიძის სპექტაკლმა ხ. ლევინის „პირდაღებული“ გვიჩვენა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ნიჭიერ, პროფესიულად მომზადებულ რეჟისორთან, რომელსაც შეუძლია ურთულესი სცენური პრობლემების გადაწყვეტა, ოღონდ ეს არის თეატრის ხელმძღვანელობა მეტად უნდა გაუფრთხილდეს ახალგაზრდის სახელს და არ უნდა შესთავაზოს დრამატურგიულად გაუმართავი პიესა!...

საინტერესო აღმოჩნდა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე ლ. გერშის პიესის „ეს თავისუფალი პეპლები“ დადგმა ახალგაზრდა რეჟისორის დ.მღებრიშვილის მიერ.

ეს თაობათა ცხოვრების კრისტალიზაციის მკაცრი და კანონზომიერი პროცესია, რომელიც თეატრის განახლებასთან ერთად თავის ტრადიციებსაც ქმნის.

დღეს ქართულ თეატრში დიდის რუდუნებით მოღვაწეობენ უფროსი თაობის რეჟისორები, რომელთა მხრებზეც გადაიარა უმძიმესი წლების სათეატრო ცხოვრებამ. სწორედ მათ შეუქმნეს ავტორიტეტი ქართულ თეატრს, წარმოაჩინეს ქართული თეატრის მთელი სიდიადე. ამ მხრივ განსაკუთრებულია გ. ლორთქიფანიძის ღვაწლი, რომელმაც ქართული ეროვნული მხატვრული ლიტერატურის (დრამატურგია, პროზა) ბევრ ქმნილებას არამარტო ახალი სცენური სიცოცხლე შესძინა, არამედ კონცეპტუალური მნიშვნელობა მიანიჭა მათ, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ფორმას. ამ ფართო პლანში მოიაზრება გ. ლორთქიფანიძის თეატრის ნოდარ დუმბაძისეული სამყარო. იმ წლებში ადვილი არ იყო ასე ერთბაშად ამდენი ეროვნული ხასიათის გამოჩენა სცენაზე, როცა იმპერიული სისტემა ნიველირებისა და პიროვნებათა „საერთო პლანში“ გათქვეფის ტენდენციას ამკვიდრებდა. დღეს იგი ისტორიაა და თითქოს საპირისპირო ატმოსფეროში მოუხდა რეჟისორს ახლახანს მოზარდმაყურებელთა ქართულ თეატრში ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ დადგმა, მაგრამ ახალი მნიშვნელობა მიეცა ნ. დუმბაძის გმირებს სცენაზე. **ჩვენს ცხოვრებაში გამეფებული ძალადობის, უხეშობის, ყოველგვარი ეთიკური ნორმების რღვევის პროცესს სპექტაკლი უპირისპირებს სიკეთის, სითბოს, ცხოვრების სიხალისით სავსე ნათელსა და საინტერესო ადამიანებს. როგორ მოგვენატრებოდა ამგვარ ადამიანებთან შეხვედრა!** აქ ხომ ყველაფერი ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის სულით არის განათებული. ეს არის დიდი ქართული კლასიკური თეატრალური ტრადიცია. გამახნევებელია სპექტაკლში „ცრემლიანი სიცილის“ ზღვარზე წარმოჩენილი ხასიათების ცხოვრების წესი. ეგებ იმანაც დაგვაფიქროს, რომ მაშინ რა კეთილნი იყვნენ ადამიანები, როგორ ნიუანსებში ესმოდათ ერთმანეთის, უყვარდათ და იცოდნენ ცხოვრების მარადიულ ღირებულებათა ფასი.

ბევრი საფიქრალი და სატკივარი აქვს დღეს ქართულ თეატრს. მადლობა ღმერთს, **ბუნებაში ნიჭიერთათვის ვაკანტური ადგილების რაოდენობა არ არის განსაზღვრული. იმდენი ადგილია, რამდენი ნიჭიერი ხელოვანიც არის.**

დღეს დიდი მსოფლიო მასშტაბის თეატრალური სამყაროს პირისპირ ვდგავართ. შეჯიბრი მკაცრია და დაუნდობელი. ჩვენმა თეატრმა უნდა შეძლოს თავისი ადგილი იპოვოს მსოფლიოს თეატრალურ სისტემაში. ამიტომ საგანგებოდ მოვლა და გაფრთხილება უნდა ყოველ ნიჭიერ ხელოვანს. **ნიჭიერება კი ასაკობრივი კატეგორია არ გახლავთ.** საჭიროა რეჟისორთა ძალების გაერთიანება და არა გათიშვა. სათეატრო სისტემის ცვლილება უპირველესად შემოქმედებითი ძიებების, ახალი ესთეტიკური პრინციპების, ახალი სათეატრო მოდელების ფორმირების აუცილებლობას უნდა ეფუძნებოდეს. ამ პროცესში კი საჭიროა გამოირჩეს **სტრატეგიული მნიშვნელობის** საკითხები, რომლებიც **ეროვნული ღირსებისა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ეხება.** აქ კი თითქოს საკამათო არაფერია, მაგრამ დაიძლევა კი ჩვენი ბედოვლათობის ინერცია, როცა ყოველდღიურ ინტერესებს ეწირება ხოლმე. უმთავრესი?!...

ვასილ კიკნაძე.

„სრ“ თეატრალური მიმომხილველი.

დაიჯესტი

ამერიკელი არამსმელები დინამიტით იმუქრებიან

ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მიიღო ანონიმური წერილი მუქარით, რომ ააფეთქებენ ნებისმიერ რადიო ან ტელესადგურს, რომელიც დაიწყებს ალკოჰოლიანი სასმელების რეკლამების გადაცემას. აფეთქებების მოწყობასთან ერთად წერილის გამომგზავნები პირობას დებენ, რომ ცეცხლს გაუხსნიან ლუდისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანიების სატრანსპორტო საშუალებებს, თუ გაგრძელდება მათი პროდუქციის რეკლამა. „ღვინის სმაში არაფერი ცუდი არ არის, — ნათქვამია წერილში, — მაგრამ გაიხსენეთ, რომ ყოველწლიურად ასობით ბავშვი იღუპება ლოთობით გამოწვეული უბედური შემთხვევების შედეგად“.

ემანსიპაციამ ალაბამის ციხეებსაც უწია

ამერიკის შტატ ალაბამის ციხეების ხელისუფლებმა, რომლებსაც არაერთი საყვედური მოუსმენიათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით პატიმართა დისკრიმინაციის შესახებ, გადაწყვიტეს უფლებრივად გაათანასწორონ მათ გამგებლობაში მყოფი მამაკაცები და ქალები. ამ შტატის კანონებით 1994 წლიდან სამუშაოდ გაყვანის დროს მამაკაცებს ერთმანეთს მიაჯაჭვავენ ხოლმე, ახლა ეს წესი ციხეებში მყოფ ქალებზეც გავრცელდება და მომავალში ისინი იმავე სამუშაოს შეასრულებენ, რასაც მამაკაცები ასრულებდნენ.

როიტერი.

კარიკატურისტის თვალით



მხატვარი ბესიკ ხუბაშვილი.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

აცხადებს საინვესტიციო კონკურსს ს/ს „აგარის საკონსერვო ქარხნის“ აქციათა პაკეტის (90,45 %) რეალიზაციის მიზნით

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

მისამართი: ქარელის რაიონი, დაბა აგარა.

გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობა — 552 800, დღეისათვის რეალიზებულია 52 800 აქცია.

ერთი აქციის ნომინალური ღირებულება — 1.46 აშშ დოლარი.

იყიდება ს/ს „აგარის საკონსერვო ქარხანა“ აქციათა პაკეტი, საწესდებო კაპიტალის 90.45 %, რაც შეადგენს 500 000 ცალ აქციას, ნომინალური ღირებულებით — 730 994.15 აშშ დოლარი, გასაყიდი ფასი 950 293.0 აშშ დოლარი.

კონკურსის პირობები:

1. აქციათა პაკეტის გასაყიდი ფასის 950 293.0 აშშ დოლარის 95 030 ცალი საპრივატიზებო ბარათით დაფარვა მ. წ. 1 ივლისამდე; 2. აქციებზე საკუთრების უფლების მიღების დღიდან 3 წლის განმავლობაში არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიციების განხორციელება;

3. საწარმოს პროფილის არანაკლებ 50 %-ით შენარჩუნება არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

4. გამოთავისუფლებული ფართების ხარჯზე ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნა კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის და მეცხოველეობის აუცილებელი პროდუქტების წარმოების მიზნით;

5. ქარხანაში არსებული სამუშაო ადგილების არანაკლებ 60 პროც.-ით შენარჩუნება;

6. საინვესტიციო პროგრამის შესრულებამდე მყიდველს ეკრძალება აქციათა პაკეტის ან მისი ნაწილის გასხვისება სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე;

7. საკონკურსო პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების სისტემატური შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში მყიდველს ჩამოერთმევა აქციათა პაკეტზე საკუთრების უფლება.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25 %-ზე ნაკლებს, აგრეთვე ობიექტის მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო კომისიაში უნდა წარმოადგინონ:

1. წინადადებები კომისიის მიერ წამოყენებული საკონკურსო პირობების თაობაზე;

2. იურიდიულმა პირმა — სადამფუძნებლო დოკუმენტები, ფიზიკურმა პირმა — პასპორტი;

3. (ბე) ობიექტის გასაყიდი ფასის 10 პროც.-ის ვაუჩერებით დაფარვის აქტი;

4. მისაგებელის (იურიდიული პირისთვის 50 ლარი, ფიზიკური პირისთვის 10 ლარი) გადახდის ქვითარი.

განცხადებების მიღების საბოლოო ვადაა მ. წ. 13 ივნისის 18 საათი.

თანხა უნდა ჩაერიცხოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი „საქართველოს ბანკი“ ა/ა №001141776 მფო 521017.

საკონკურსო განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საინვესტიციო კონკურსის განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტები გაიხსნება კომისიის მიერ მ. წ. 18 ივნისს 4 საათზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში, ოთახი №321.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია კონკურსის პირობების დაკმაყოფილება და საინვესტიციო პროგრამის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში ობიექტში დადგენილ ინვესტირებაზე მეტი თანხის შემოთავაზება.

აცხადებს საინვესტიციო კონკურსს ს/ს „იმედის“ (მარტვილის საკონსერვო ქარხნის) აქციათა პაკეტის (52,96 %) რეალიზაციის მიზნით

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:

მისამართი: მარტვილი.

გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობა — 153 579, დღეისათვის რეალიზებულია 25 314 აქცია.

ერთი აქციის ნომინალური ღირებულება — 1.46 აშშ დოლარი.

იყიდება ს/ს „იმედის“ აქციათა პაკეტი საწესდებო კაპიტალის 52.96 %, რაც შეადგენს 28.265 ცალ აქციას, ნომინალური ღირებულებით — 41 323.43 აშშ დოლარი, გასაყიდი ფასი 53 732.46 აშშ დოლარი.

კონკურსის პირობები:

1. აქციათა პაკეტის გასაყიდი ფასის 53720.46 აშშ დოლარის, 5 373 ცალი საპრივატიზებო ბარათით დაფარვა მ. წ. 1 ივლისამდე;

2. აქციებზე საკუთრების უფლების მიღების დღიდან 3 წლის განმავლობაში არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიციების განხორციელება;

3. საწარმოს პროფილის არანაკლებ 50 %-ით შენარჩუნება არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

4. გამოთავისუფლებული ფართების ხარჯზე ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნა კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის და მეცხოველეობის აუცილებელი პროდუქტების წარმოების მიზნით;

5. ქარხანაში არსებული სამუშაო ადგილების არანაკლებ 70 პროც.-ით შენარჩუნება;

6. საინვესტიციო პროგრამის შესრულებამდე მყიდველს ეკრძალება აქციათა პაკეტის ან მისი ნაწილის გასხვისება სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე;

7. საკონკურსო პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების სისტემატური შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში მყიდველს ჩამოერთმევა აქციათა პაკეტზე საკუთრების უფლება.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25 %-ზე ნაკლებს, აგრეთვე ობიექტის მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო კომისიაში უნდა წარმოადგინონ:

1. წინადადებები კომისიის მიერ წამოყენებული საკონკურსო პირობების თაობაზე;

2. იურიდიულმა პირმა — სადამფუძნებლო დოკუმენტები, ფიზიკურმა პირმა — პასპორტი;

3 (ბე) ობიექტის გასაყიდი ფასის 10 %-ის ვაუჩერებით დაფარვის აქტი;

4. მისაგებელის (იურიდიული პირისთვის 50 ლარი.ფიზიკური პირისთვის 10 ლარი) გადახდის ქვითარი.

განცხადებების მიღების საბოლოო ვადაა მ. წ. 13 ივნისის 18 საათი.

თანხა უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკი „საქართველოს“ ბანკი“ ა/ა №001141776 მფო 521017.

საკონკურსო განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საინვესტიციო კონკურსის განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტები გაიხსნება კომისიის მიერ მ. წ. 18 ივნისს 4 საათზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში, ოთახი №321.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია კონკურსის პირობების დაკმაყოფილება და საინვესტიციო პროგრამის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში ობიექტში დადგენილ ინვესტირებაზე მეტი თანხის შემოთავაზება.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10-დან 17 საათამდე
შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №64,
სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი №214.
მყიდველს აქვე შეუძლია გაეცნოს დაწვრილებით ინფორმაციას საპრივატიზებო ობიექტის შესახებ.
ცნობებისათვის დარეკეთ: 29-35-91, 29-28-06. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

ინვალიდთა და მათი ბედით დაინტერესებულ ადამიანთა საყურადღებოდ!

იქმნება მონაცემთა ბაზა (საინფორმაციო ბანკი) საქართველოში ინვალიდთა საერთო მდგომარეობისა და დასაქმების სფეროში მათი შესაძლებლობების თაობაზე

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირმა (ინვალიდთა ასოციაციამ) — ჩვენს ქვეყანაში ინვალიდთა პირველმა და მეთაურმა არასამთავრობო საზოგადოებრივმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ, თავის ექსპერტ-სპეციალისტთა მიერ შემუშავებული საქართველოში მცხოვრებ ინვალიდთა ყოველმხრივი რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის პირველი რიგის ღონისძიებათა გრაფიკის თანახმად, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ჰუმანიტარულ არასამთავრობო ორგანიზაციათა და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურათა თანადგომით — **საქართველოს სინამდვილეში პირველმა გადადგა ნაბიჯი, ჩვენს სახელმწიფოში ინვალიდთა საერთო მდგომარეობისა და დასაქმების სფეროში მათი შესაძლებლობების თაობაზე მონაცემთა ბაზის (საინფორმაციო ბანკისა) შესაქმნელად,** რის შედეგადაც უფრო ეფექტური და მიზანმიმართული გახდება აღნიშნულ ორგანიზაცია-სტრუქტურათა საქმიანობა ჩვენი ფიზიკურად შეჭირვებული თანამემამულეების საკეთილდღეოდ; განსაკუთრებით კი — მათი დასაქმების თვალსაზრისით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რათა უფრო ოპერატიულად შეგროვდეს სათანადო ინფორმაცია, გთავაზობთ სპეციალურ კითხვარს, რაც შევსების შემდგომ უნდა ამოიჭრას და გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: 380021-თბილისი, აკ. წერეთლის გამზ., 144,სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია), ტელ: 34-43-08, 34-74-79.

იმ შემთხვევაში, თუკი რესპოდენტს, სამწუხაროდ, სათანადო ძალა არ შესწევს, კითხვარის შევსება შეუძლია მისი ნდობით აღჭურვილ პირს, ახლობელს ან მისი ბედით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

კ ი თ ხ ვ ა რ ი

გვარი ....
სახელი ....
მამის სახელი ....
ეროვნება ....
დაბადების თარიღი და ადგილი ....
საცხოვრებელი ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი (ხიზნებისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთათვის დროებითი) ....
ოჯახური მდგომარეობა (მიუთითეთ, გყავთ თუ არა მეუღლე, შვილები, მშობლები) ....
განათლება ....
სპეციალობა ....
პროფესია ....
თუ სპეციალობა ან პროფესია არა გაქვთ, რა განხრას აირჩევდით
გაქვთ თუ არა დადგენილი ინვალიდობის ჯგუფი (მიუთითეთ ჯგუფი და ინვალიდობის გამომწვევი მიზეზი) ....
ჯანმრთელობის ახლანდელი მდგომარეობა ....
საჭიროებთ თუ არა მომვლელს (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ, გყავთ თუ არა იგი)
იღებთ თუ არა პენსიას, შემწეობასა ან სხვა სახის მატერიალურ თუ ჰუმანიტარულ დახმარებას ....
გაქვთ თუ არა დამატებითი შემოსავლის წყარო ....
თუ მუშაობთ, მიუთითეთ სექტორი (კერძო თუ სახელმწიფო) და საქმიანობის სახე ....
თუ არ მუშაობთ და გაქვთ დასაქმების სურვილი, მიუთითეთ საქმიანობის შესაბამისი სფერო (აგრარული სექტორი, მრეწველობა, ხელოსნობა, შინ შრომა, მხატვრული თვითშემოქმედება, ინტელექტუალური მოღვაწეობა და სხვ.) და სახე ....
გაქვთ თუ არა კვალიფიკაციის ამაღლებისა ან სპეციალობისა და პროფესიის შეცვლის სურვილი (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ, თუ რა განხრას აირჩევდით) ....
გაქვთ თუ არა საინვალიდო სპორტში ჩაბმის სურვილი (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ, თუ რა სახეობას აირჩევდით) ....
დამატებითი ინფორმაცია ....

წინასწარ გმადლობთ თანადგომისა და თანამშრომლობისათვის!

ორგანიზაციების საყურადღებოდ!

სააქციო საზოგადოება **„ჯი და ჯი“**
"SAMSUNG ELECTRONICS Co., Ltd"-ს ოფიციალური დილერი

SAMSUNG

გთავაზობთ

◆ საოფისე ავტომატურ სატელეფონო სადგურებს ტევადობით 11-დან 360 აბონენტამდე.
◆ ფაქსებს როგორც თერმო ასევე ჩვეულებრივ ქაღალდზე.
◆ სხვადასხვა ტიპის ტელეფონის აპარატებს

☞ მიწოდება და მონტაჟი უმოკლეს ვადებში
☞ გარანტია 1 წელი
☞ გარანტიის შემდგომი მომსახურეობა

გარდა ამისა გთავაზობთ საოფისე და საბანკო ტექნიკის ფართო ასორტიმენტს

ჩვენი მისამართია: ლესელიძის ქ. №4, ☎ 93-38-34, ფაქსი: 93-38-04

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ჯანდაცვის პროექტის ეგიდით აცხადებს კონკურსს 1997/98 სასწავლო წელს საზღვარგარეთ ერთწლიანი სტაჟირებისათვის შემდეგ სპეციალობებში:

1. ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი	*1 ადგილი;*
2. ჯანდაცვის სისტემის ადმინისტრაცია	*1 ადგილი;*
3. ჯანდაცვის სისტემის ფინანსირება	*1 ადგილი;*
4. ნეონატოლოგია...	*1 ადგილი;*

სტაჟირებისათვის საჭირო თანხები (სწავლების საფასური, მგზავრობა, დაბინავება, სტიპენდია) დაიფარება მსოფლიო ბანკის ჯანდაცვის პროექტისათვის გამოყოფილი კრედიტით.

კანდიდატები შეირჩევიან კონკურსის საფუძველზე. შესარჩევი კრიტერიუმებია:

1. უმაღლესი განათლება შესაბამისი პროფილით;
2. უცხო ენის სრულყოფილი ცოდნა;
3. კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;
4. შესაბამისი პროფილით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი;
5. ასაკი 24-დან 35 წლამდე.

სტაჟირების კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულნი ვალდებულნი არიან დაბრუნდნენ საქართველოში და იმუშაონ საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში არანაკლებ 3 წლის განმავლობაში.

კანდიდატებმა რეგისტრაციისათვის უნდა მიმართონ მსოფლიოს **ბანკის ჯანდაცვის პროექტის საკოორდინაციო ბიუროს** შემდეგი მისამართით;

ქ.თბილისი, გამსახურდიას გამზ. 30
ჯანმრთელობის სამინისტრო, მე-5 სართული.
ტელ: 29-44-07; 38-78-29

კანდიდატებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ: რეზიუმე ან curriculum vitae, დახასიათება სამუშაო ადგილიდან, 2 სარეკომენდაციო წერილი, დიპლომის ასლი, დიპლომის ამონაწერი, ერთი ფოტოსურათი (3 სმ X 4 სმ), პირადობის მოწმობა. ყველა სარეგისტრაციო საბუთი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი (როგორც ორიგინალი, ასევე მისი ასლი ან თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს იმ ორგანიზაციის ბეჭედით, რომლის სახელითაც დოკუმენტი არის გაცემული).

კანდიდატთა შერჩევა მოხდება სამ ეტაპად:

პირველ ეტაპზე მოხდებაკანდიდატთა რეგისტრაცია, მათი საბუთების შეგროვება და განხილვა;

მეორე ეტაპზე კანდიდატებს ჩაუტარდებათ გამოცდა, რომელიც შეამოწმებს მათი ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნას, მათ, ვისაც ჩაბარებული აქვთ ინგლისური ენის გამოცდა - „TOEFL“, მიღებული აქვთ 570 ქულა და მეტი და არ გასვლიათ მისი ძალამოსილების ვადა, ჩაუტარდებათ გამოცდა მხოლოდ კომპიუტერთან მუშაობაში;

მესამე ეტაპზე მოხდება ფინალისტებთან გასაუბრება და მათი კანდიდატურების დამტკიცება, წინამორბედი ეტაპებისა და გასაუბრების შედეგების მიხედვით, ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალური კომისიის მიერ.

საბუთების ჩაბარების ვადაა 1996 წლის 31 მაისამდე.

სიახლე აბიტურიენტთათვის!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის ყველა სპეციალობაზე მიმდინარე წელს ექსპერიმენტის სახით ჩარიცხვა იწარმოებს **მისაღები გამოცდების გარეშე.**

ცნობებისათვის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კადრების განყოფილება, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის მიმღები კომისია.

ტელეფონები: 22-36-19; 30-40-73; 30-01-07 (დღისით);
22-38-05 (საღამოს)

ჩოგანი

შესანიშნავი ნადავლი

ოთხი „ოქრო“ და მეორე გუნდური ადგილი — ასეთია ქართველ სამბისტთა მონაგარი ევროპის ვეტერანთა პირველი ჩემპიონატიდან, რომელსაც საფრანგეთმა უმასპინძლა.

კონტინენტზე უძლიერესნი გახდნენ მევლუდ ჩხაიძე, ჯემალ ფიცხელაური, ზაურ სახვაძე და ანზორ ზურაბაული.

სულ ხარბიელზე 10 ქვეყნის წარმომადგენლები გამოვიდნენ.

გიორგი ჭანიშვილი.

სურათზე (მარცხნიდან): ჯემალ ფიცხელაური, ზაურ სახვაძე და ანზორ ზურაბაული.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

შვიდგზის!

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა — ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონებმა — ზედიზედ მეშვიდედ მოიპოვეს საპატიო წოდება.

გამოტოვებულ შეხვედრაში შინ ხაშურის „იმერიის“ დაჯაბნის შემდეგ — 5:0, საქართველოს საუკეთესო კლუბი ფინიშამდე 3 ტურით ადრე მიუწვდომელი გახდა მეტოქეებისათვის.

დღეს 17 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დინამოელები მორიგ მატჩს ლანჩხუთის „გურიასთან“ ჩემპიონის რანგში გამართავენ.

„ვითა“ თუ „დინამო“?

კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის სუპერფინალურ სერიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთს „ვითა“ და „დინამო“ დაუპირისპირდნენ. გადამწყვეტი შეხვედრები დედაქალაქის სპორტის სასახლეში 23, 24 და, საჭიროების შემთხვევაში, 27 მაისს მოეწყობა.

ნახევარფინალური მ ჩები ასე დამთავრდა: „ვითა“ — „[illegible]“ 86:75, 100:70 (2:0) და „დინამო“ — „ქიმიკოსი“ 99:71, 93:66 (2:0).

უეფას თასი—„ბაიერნს“

მიუნხენის „ბაიერნმა“ უეფას თასის გათამაშების საპასუხო ფინალური მატჩიც მოუგო საფრანგეთის „ბორდოს“, ამჯერად სტუმრად — 3:1 (პირველი შეხვედრა — 2:0) და კონტინენტის მეოთხე კლუბია „იუვენტუსის“, „აიაქსისა“ და „ბარსელონას“ შემდეგ, რომელმაც სამივე თასის მოპოვება შეძლო.

გერმანელთა გამოჩენილმა თავდამსხმელმა იურგენ კლინსმანმა ამ დღეს მესამე გოლით ევროტურნირების 40-წლიან ისტორიაში რეკორდი დაამყარა — გაიტანა 15 ბურთი.

„ალანია“ წინ მიიწევს

ვლადიკავკაზის „ალანიას“ ფეხბურთელთა გუნდი წლეულსაც განაგრძობს ძლევამოსილ გამოსვლას რუსეთის ჩემპიონატში.

მეთორმეტე ტურში ჩვენმა მეზობლებმა შინ პრინციპული ორთაბრძოლა მოუგეს ქვეყნის თასის მფლობელს მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 1:0 (გოლი კასიმოვმა გაიტანა) და 29 ქულით ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებენ. შეგახსენებთ, რომ ამ მეტოქეთა ორივე შარშანდელი დუელი რკინიგზელებმა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 1:0 და 4:1.

გაფიცვა

ცენტრალურ უნივერმაღში

უკვე მესამე დღეა გრძელდება გაფიცვა თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში. საქმის არსი ასეთია: 13 მაისს გაიმართა უნივერმაღის აქციონერთა კრება, რომელსაც ბანკ „თი-ბი-სის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ისინი აღნიშნული უნივერმაღის აქციების გარკვეულ რაოდენობას ფლობენ. მათ ეს ფაქტი, როგორც გაფიცულები ამბობენ, შესანიშნავად გამოიყენეს და მიაღწიეს მათი ინტერესების დამცველი სამეთვალყურეო საბჭოს გადაყენებას, რაც აქციის დაწყების საფუძველი გახდა.

გაფიცულ მოშიმშილეთა აზრით, მმართველობის ფუნქციების ბანკის ხელში გადასვლა მათ სასიკეთოს არაფერს მოუტანს.

ბანკის წარმომადგენლები, პირიქით, ყველა აქციონერს დასაქმებას ჰპირდებიან უნივერმაღშივე. მაგრამ გაფიცულებში ამის საწინააღმდეგოდ სუპერმარკეტ „ბაბილონის“ მაგალითი მოჰყავთ, სადაც მათ დაპირების მიუხედავად არც ერთი თანამშრომელი არ დაუსაქმებიათ...

გაფიცვა გრძელდება. კოლექტივი ორ ნაწილადაა გაყოფილი. [illegible]

თეიმურაზ კიწურაშვილი.

პოლიცია

საქმემან შენმან გამოგაჩინოს

დედაქალაქში მორიგი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების განხორციელების დროს ახალგაზრდა პოლიციის ლეიტენანტმა ბოგდან ზმენიცკის ქუჩაზე დააკავა დამნაშავე, რომელსაც აღმოაჩნდა იარაღი — „მაკაროვის“ სისტემის უნომრო პისტოლეტი, როგორც მან განაცხადა, იარაღი აფხაზეთში შეუძენია... დამნაშავე ქალაქის დროებითი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

ახალგაზრდა პროფესიონალი კი, ვინც დამნაშავე დააკავა, აღმოჩნდა ისნის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-3 საქალაქო ქვეგანყოფილების პოლიციის უფროსის მოადგილე, 22 წლის დათო კალანდაძე.

— ისნის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-3 ქვეგანყოფილება დროებით არ ფუნქციონირებდა, — გვითხრა ქვეგანყოფილების უფროსმა, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა თენგიზ ჯიაძემ, — სამიოდე თვეა, რაც განახლდა ჩვენი სამსახური. იგი ძირითადად ახალგაზრდა კადრებითაა დაკომპლექტებული. ცნობილი ჭეშმარიტებაა: თუ საქმეს პროფესიონალი ასრულებს, მით უმეტეს, კეთილსინდისიერი ახალგაზრდა, ეს ყოველი საქმის წარმატებით დასრულების საწინდარია, სწორედ ასეთი პროფესიონალია ჩემი ახალგაზრდა მოადგილე.

— ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, — გვითხრა დათომ, — სამხედრო სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ, პოლიციაში ვმუშაობ.

ყველაზე მეტად ადამიანში ვაფასებ პრინციპულობასა და პროფესიონალიზმს, ამბობს დათო კალანდაძე. გადაწყვეტილი მაქვს ცხოვრების ბოლომდე ერთგულად ვემსახურო ქვეყანას და ჩემი ხალხის მშვიდ ცხოვრებას. როგორც ყოველი ჭეშმარიტი პოლიციელი, მეც, ალბათ, დაუნდობელი ვიქნები დამნაშავის მიმართ, ვინც უნდა იყოს იგი.

ჩვენ კი დავსძენთ, რომ ეს ვაჟკაცური პროფესია დათოს შესაძლოა მამამ, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა ვანო კალანდაძემ შეაყვარა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ საქმემან შენმან გამოგაჩინოს.

გულიკო მორკოზაშვილი.

ამინდი

17 მაისს

დასავლეთ საქართველოში ტემპერატურა ბარში — ღამით 10-15, დღისით 25-30, მთაში — ღამით 7-12, დღისით 20-25, მაღალმთაში — ღამით 5-10, დღისით 15-20 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ბარში — ღამით 10-15, დღისით 24-29, მთაში — ღამით 6-11, დღისით 19-24, მაღალმთაში — ღამით 4-9, დღისით 13-18 გრადუსი სითბო.

თბილისში ღამით 13-15, დღისით 27-29 გრადუსი სითბო.

მორიგე რედაქტორი ანზორ ბასილაი

გამომცემელი - შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24. მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი